

საგაზელო

ეროვნული
ბიზნისი

საერთოული გაზეთი

ოთხშაბათი 5 სექტემბერი 2001 №168 (1441)

ფასი 50 თეთრი

ამ სუფრაზე მე პარ თაბადა!

ჩივანძე ფრთხილობს და პროფესიონალობს: გაბელიას ლიტვა დააზვერინა, ჩოლარია კი ტრიბუნაზე დასვა



ალექსანდრე ჩივანძე

ბადრი კატილაძის ფოტოები



საქართველოს და ლიტვის ეროვნული გუნდების სადღესიო სამზადისის თაობაზე იხილეთ მესამე გვერზე

პასტანგური

ახალგაზრდები უფროსებს ბაძავენ: პირველი მოგება 9 კატა ბაიყო

გუშინდლამდე ევროპაში ერთი-ორი უქულო გუნდი თუ მოიძებნებოდა, ცხადია, მათ შორის გახლდათ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებიც.
დღეს უკვე შეიძლება ითქვას: გუშინდელი მოგებით ქართველი ახალგაზრდები ტურნირის უქულოდ ჩამთავრებას გადაარჩნენ.
ქართველებმა მოინდომეს და ვიდრე აქამდე შეეძლოთ, იმაზე ბევრად მეტიც შეძლეს: პირველი ტაიმის მიწურულს ორგანიზაციულად დარჩენილებმა დიდი ანგარიშით მოიგეს.
ამან, ცხადია, საქართველო — უნგრეთის ეროვნულ გუნდთან მატჩში ქართველთა 10-კაციანი გამარჯვება გაგვახსენა.
— ეს სხვა გუნდია, შაულიაში ამითთან რომ გვეთამაშა, უკეთეს დღეს არც მაშინ დაგაყრიდით — თავი იმართლა პირველ სამ მატჩში ახალგაზრდული ნაკრების ნულზე დამტოვებულმა მურთაზ ხურცილაევამ, რომელიც ამჟამად ეროვნულ გუნდში ალექსანდრე ჩივანძის თანაშემწეა.
საოქტომბრო შემაგვენლობიდან ლიტველებს მართლაც ცოტა, მ მოთამაშე ჰყავდათ. მაგრამ ქართველები, რომლებსაც ახლა უკვე ვახტანგ კობალეიშვილი წვრთნის, უფრო შეცვლილები დაუხვდნენ მეტოქეს — იმ დროიდან გუნდს მხოლოდ მეკარე-კაპიტანი გიორგი ლომიაძე და ბოლო გოლის გამტანი მალხაზ ასათიანი შემორჩნენ. ასათიანის ვარდა დუბლი ვაიტანა გიორგი ადამიამ და ერთიც გიორგი დეკანოსიძემ.

იხილეთ მეორე გვერდი



მალხაზ ასათიანს (შუაში) ლიტველი ახალგაზრდების კარში ბოლო გოლი გააქვს

ბადრი კატილაძის ფოტოები



დუბლის გამტანი გიორგი ადამია (№7) ლიტველთა ალყაში

ნუ განიტლდები! საჭოთის ჰიენის ვეღარ გიშველის

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ტაბო. VIII ეტაპი

საქართველო 4:1 ლიბვა

თბილისი. „კოლოლი“. 2 000 (ტყეადაზა 70 900). 4 სექტემბერი. 20 საათი

მეტი: 10 (6), 20 (დეკანოზიძე (25), 21 პოლტკალინი (29), 31 ადამია (43), 41 ასათიანი (49))	დანი: რამონასი, კლიმენტი, ბორიშვილი, ზემლივისი, იოკისი, ლემბიანი, რინგისი (მიციკა 55), გრიგისი (ბენიუსი 30), ჩხნაძისი, პოლტკალინი, საულენსი (კარალიუსი 54)
საბმარტინოვი: ლომია, სენაძე (თედორაძე 67), კანდელაკი, სილოვანიძე, კაკაშვილი, ამისულაშვილი, ადამია (სუნუნაძე 87), ასათიანი, დეკანოზიძე (ინაქორელი 90), ახალკაცი, მ. ბობოხიძე	საბადარიგონი: მამალაძე, ზე. ლაბაძე, სულაველიძე, ზაზაშვილი
მეტი: 10 (6), 20 (დეკანოზიძე (25), 21 პოლტკალინი (29), 31 ადამია (43), 41 ასათიანი (49))	საბადარიგონი: მამალაძე, ზე. ლაბაძე, სულაველიძე, ზაზაშვილი
მეტი: 10 (6), 20 (დეკანოზიძე (25), 21 პოლტკალინი (29), 31 ადამია (43), 41 ასათიანი (49))	საბადარიგონი: მამალაძე, ზე. ლაბაძე, სულაველიძე, ზაზაშვილი

გამტანი: 10 (6), 20 (დეკანოზიძე (25), 21 პოლტკალინი (29), 31 ადამია (43), 41 ასათიანი (49))

მეტი: 10 (6), 20 (დეკანოზიძე (25), 21 პოლტკალინი (29), 31 ადამია (43), 41 ასათიანი (49))

საბადარიგონი: მამალაძე, ზე. ლაბაძე, სულაველიძე, ზაზაშვილი

გამტანი: 10 (6), 20 (დეკანოზიძე (25), 21 პოლტკალინი (29), 31 ადამია (43), 41 ასათიანი (49))

სახალგაზრდო შემოვიდა საქართველოში და რაბაზში ლიტველთა ახალგაზრდული გუნდის თავკაცი ეუგენიუს რიბოვას ბრაზი უფრო ეხალბოდა, მაგრამ ვალდებული იყო, რაღაც ეთქვა და საუბარი თავისიანების ლანძღვით დაიწყო.

„ოქვენ გსურთ, მატჩის ჩემუელი კომენტარი მოისმინოთ, მაგრამ მე მხოლოდ საქართველოს ნაკრებზე თუ ვიტყვი ორიოდ სიტყვას, რადგან დღეს მოედანზე მეორე გუნდი არ იყო. ჩემი შევირდების საცოდაობას რა ვუწოდო, არ ვიცი...“ ჩვენი ბიჭები კი შეაქო რი-

ბოვასმა, მაღალი ინდივიდუალური ოსტატობით გამოიჩინა.

რამდენი ქვეყნის ახალგაზრდული გუნდი სწევია თბილისს, მაგრამ ლიტვის სდარი უსუსური არც ერთი ყოფილა. არადა, პირველ წრეში ლიტველებმა, ჩვენებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპზე პირველი მარცხი აგვეს. იმ შემადგენლობიდან კი გუშინ 8 ფეხბურთელი შემორჩენილდა.

სტუმართა სისუსტეს და უთავბოლოებას რომ ვამბობ, ამით ქართველთა გარვის დაკნინებას როდი ვცდილობ. სახეცვლილ და კიდევ უფრო გაახალგა-

ზრდავეულ გუნდს დასაკარგიც არაფერი ჰქონდა და აკი ყოველგვარი შიშის, ფსიქოლოგიური ტვირთისა და შებოჭილობის გარეშე ითამაშა. აჩვენა მაღალი ინდივიდუალიზმი, იყო მებრძოლი და სწრაფი. ამის დაუნახობა არ იქნება, მაგრამ ეს ნაკრები მართლა გუნდად რომ იქცეს, ამისთვის ვაზტანგ კოპალიშვილსა და მის თანაშემწეებს დიდი შრომა მოუწევთ.

ვლადიმერ კაკაშვილი, მაღალ ასათიანი, გიორგი დეკანოზიძე რომან ახალკაცი, გიორგი ადამია... ამ ბირთვის ირგვლივ კარგი გუნდის შეკვრა შეიძლება. დამსახურებას არც დანარჩენებს ვუკარგავთ და მეკარე გიორგი ლომიაიც დირსულებად ემშვიდობება ახალგაზრდულ ნაკრებს.

ჩვენმა ბიჭებმა მთელი ტაიმი კაცნაკლულებმა ითამაშეს. ამისულაშვილის და ბობოხიძის გადაძებული ბრძოლისუნარიანობა რუსმა არბიტრმა ივანოვმა წითელი ბარათებით დააცხრო. ვერ მოზომეს ბიჭებმა და მსაჯისგან გაფრთხილებები ისეთ მომენტებში მიიღეს, როცა ვითარებას მძაფრი არც ეთქმოდა.

ამის შემდეგ ყოველი სასტვენისას გულშემატკივარი ივანოვისგან ბართის ამოღებას მოითხოვდა. ერთხელაც საბჭოთა კავშირის ჰიმნი დაუგუნეს ჩრდილოელ სტუმარს და რამდენჯერმე უნაშის სიტყვაც აკადრეს. უცინებოდა ივანოვს... მსაჯი მართლაც არაფერში ტყუილად. მან გააკეთა ის, რასაც ჩვენებური არბიტრები ეროვნული ჩემპიონატის ყველა მატჩში უნდა აკეთებდნენ.

როგორც იქნა, ვეღარსეთ ქართველებსგან სტანდარტული სიტუაციიდან გატანილ გოლს. დეკანოზიძემ ჯარიმიდან ცხრიანში ჩაუსვა ბურთი სტუმართა მეკარეს. ბევრი და ნაყოფიერად იმუშავა მაღალ ასათიანმა. ბოლო ხანია, ამ ნიჭიერ მოთამაშეს მატჩის ბოლომდე შეუცვლელად ჩატარება არ ღირსებია. გუშინ კი მისი დაულადავი თამაში 90 წუთი ვიხილეთ.

ადამიამ სულ ბღვირი ადინა სტუმართა ათლეტურ დაცვას. უნარიანად ხელმძღვანელობდა უკანა ხაზს კაკაშვილი, მოუსვენარი იყო ახალკაცი.

ბოლოს იმაზეც ვთქვათ, რომ ხარვეზიც ბევრი შეინიშნებოდა. ქართველები გუნდურ თამაშში მოიკოჭლებდნენ და ბრძოლით მოპოვებულ ბურთსაც ხშირად უთმობდნენ მეტოქეს.

სერგო კუტივაძემ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რამდენიმე მოთამაშის ინდივიდუალურმა ოსტატობამ გაგვაოცაო. აგვისხნა, თუ რატომ მიმართეს რადიკალურ ცვლილებებს: ნაკრების წინა ბირთვმა ვერ გაამართლაო. ბოლოს დასძინა, სამუშაო თავსაყრელადაო და მომდევნო შესარჩევი ეტაპისთვის წარმატების იმედიც დაგვიტოვა.

მთლად უქტულად აღარ დარჩა კოპალიშვილის გუნდი. დაგვიანებულმა განახლებამ შედეგი მაინც გამოიღო, ეგაა, ძალიან გვიან...

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

I ჯგუფი

იზრმალი 2:1 სლოვენია

მეტი: 10 (46), 21 პოლტკალინი (68), 21 იოლოვიჩი (60)

ლუბანოვო 0:3 შვეიცარია

მეტი: 29 (29), 02 ფრიდლი (61), 03 გრეკო (67)

შვეიცარია 7 4 3 0 19:7 15
 რუსეთი 7 4 2 1 20:3 14
 იუგოსლავია 7 3 3 1 14:11 12
 სლოვენია 8 2 2 4 10:10 8
 ლუქსემბურგი 7 0 0 7 1:30 0

II ჯგუფი

პოლანდია 6:1 ისტონია

მეტი: 10 (5), 20 ტ. იანსენი (23), 30, 40 კოტტი (28, 58), 50 პოლენცი (67), 60 პერსი (80)

კინარსი 1:0 პორტუგალია

მეტი: ხარალამბუსი (88)

პოლანდია 8 5 2 1 20:7 17
 პორტუგალია 7 5 1 1 18:4 16
 ირლანდია 7 3 1 3 7:7 10
 კვიბროსი 7 3 0 4 9:14 9
 ესტონეთი 7 0 0 7 2:24 0

III ჯგუფი

ჩინეთი 3:0 მალტა

მეტი: ვაშუშვი (24), 20 გირანჯი (41), 30 პორაკი (80)

ჩრდ. ირლანდია 3:0 ისტონია

მეტი: გრანტ მაკკენლი (10), 11 ხიში (58), 12 აილი სტივინსონი (76), 13 ბელ-გუნარსონი (90)

გულბარათი 3:1 დანი

მეტი: ლოგანანდისი (33), 11 დელი (41), 21 დიმიტროვი (47), 31 იანვი (70)

ჩინეთი 9 8 0 1 20:5 24
 ბულგარეთი 9 5 3 1 16:9 18
 დანი 9 3 3 3 14:12 12
 ისტონია 9 3 2 4 13:13 11
 ჩრდ. ირლანდია 9 2 1 6 10:19 7
 მალტა 9 0 3 6 3:18 3

IV ჯგუფი


სლოვაკეთი 0:0 გოლანდია

აზერბაიჯანი 1:0 გერმანია

მეტი: რ. ბუხინოვი (88)

თურქეთი 4:1 შვედეთი

მეტი: 20, 30 იოზბატალი (11, 20, 38), 31 იბრაჰიმოვი (57), 41 ქარაფინი (89)



გუშინდელი უნგრეთი — რუმინეთი: ტიბორ ტოკოდი (№6) და ოვიდიუ პეტრე

უზბეკეთი 3:0 რუმინეთი


მეტი: ჩერნატი (54), 02 ბრატუ (66), 12 საბიჩი (69), 13 ბრატუ (90)

უზბეკეთი: ტაგირი, ბოდნარი, კოროლოვსკი, ბოდნარი, ლილი, ტოკოდი, ფარვანი (ფაბოში 76), ბოგატი (მიმეტი 57), პალმუზი (ტრივიტი 62), გრა, საბიჩი

რუმინეთი: დოლია, ბალანი (სენინი 81), გიონე, მარინე, სემენი, პატრასკუ, პეტრე გიონი, ჩერნატი, ფარაგანი (ტრივიტი 77), გიორგი (ბრატუ 61)

მეტი: 10 (5), 20 (დეკანოზიძე (25), 21 პოლტკალინი (29), 31 ადამია (43), 41 ასათიანი (49))

საბადარიგონი: მამალაძე, ზე. ლაბაძე, სულაველიძე, ზაზაშვილი



გიორგი დეკანოზიძემ ლიტველებს საჯარიმო დარტყმით გაუტანა



საქართველო — ლიბია

თბილისი. ლოკომოტივი. 21:00. ტავაძე 25 600



ჩივამდე ჩოლარია გააკმა

ცხიტიფილი: ლიბია დაცვაში ჩაჯდება

დეპუტატმა იანაკოვსკისმა ბროლი უემოითვალა

იმაღლი და ოცნების საშუალება მოგვცა უნგრელების ძლიერმა ახლა უნგრეთმა რუმინეთს რომ მოუგოს, ჩვენ ჯერ ლიტვას, მერე რუმინეთს, იტალიამ უნგრეთს... ერთი სიტყვით, არიმეტიკაშიც კარგად წავივარჯიშეთ და 5 სექტემბერსაც დიდი ინტერესით ველოდით. სხვა თუ არაფერი, ნაკრებმა კიდევ ერთი თვალსაჩინო და წარმატებული მატჩი რომ ითამაშოს, ესეც საქმეში ჩათვლება.

28 აგვისტოს დაწყებული შეკრებიდან ეროვნულმა გუნდმა გუშინ მემკვიდრე ივარჯიშა. „ლოკომოტივ არენაზე“, როგორც წესი, სფფ-ს ხელმძღვანელობაც მოვიდა. მერაბ ფორდანიას და ვალერი ჩოლარიას მოედანზე გავიდნენ, მინდვრის მდგომარეობას დააკვირდნენ — ალბათ, ფეხბურთელებმა დაინიშნეს ამის თაობაზე უფროსობასთან და არც გაემტყუნებთ. კოპწია სტადიონის ხასხასა მინდორს უსწორმასწორობის გამო იდეალური ნაღდად არ ეთქმის.

ამასობაში ალექსანდრე ჩივადის ამქ-

რი წვრთნას შეუდგა და როცა ფეხბურთელები მუნძულით წრეს უკლიდნენ მინდორს, გენმლივანი ჩოლარია ჯერ კიდევ მოედანზე გახლდათ. ჩივადის თვალს ეს არ გამოჰპარვია და ვალერი ჩოლარიას მისვე მოსთხოვა მინდვრის დატოვება, პროფესიონალები ვიფიქროთ, თქვა ალექსანდრე ჩივადემ.

თვით ვარჯიშში რაიმე განსაკუთრებული არ ყოფილა. ეს ტონუსის შესამატებელი წვრთნა გახლდათ ფეხბურთელთათვის. საბოლოოდ გადაწყდა, რომ დღეს ვერ ითამაშებს შოთა არველაძე. ჩივადის განკარგულებაში მყოფი დანარჩენი ფორვარდები ჯანზე კი არიან, მაგრამ შოთა მაინც მნიშვნელოვანი დანაკლისია ნაკრებისთვის — არა გვეგონია, ლიტვამ იოლად დაგვითმოს რამე.


ვარჯიშმა საათზე მეტს გასტანა და სანამ გუნდი კომფორტულ „მერსედესში“ მოთავსდებოდა, ლევან ციტიშვილი და გიორგი დემეტრაძე გამოველაპარაკეთ.

ლევან ციტიშვილი:
— მგონი, უნგრეთთან კარგი თამაში იყო და ყველა კმაყოფილი დარჩა ამ მოკებით.
— **შენს თამაშს როგორ შეაფასებდი?**
— რა ვიცი, ალბათ ურიგოდ არ მითამაშია.
— **იმ ეპიზოდმა, ფლანგზე ორი მეტოქე რომ ჩამოიცილე და საოლე პასი შეასრულე, ყველა აღაფრთოვანა. როცა ბურთი მიიღე, შენს წინ ერთი უნგრელი იყო და ისე ჩანდა, ხელით მეორე მეტოქესაც ანიშებდი, მომიახლოვდიო...**
— მართლაც ისე გამოვიდა, მეორე უნგრელის მოახლოებასაც დაველოდე თუმც, ყველაშვილს ვითხოვდი, მოსულიყო, და რომ არ მოვიდა, მეტი ალარაფერი დამჩვენდა — მეტოქეთა მოტყუებას შევეცადე კარგად გამომივიდა და კარგი საოლე პასიც გადავიცი.
— **მარჯვენა ფლანგზე რომ მოვიწია თამაშმა, დისკომფორტს არ გიქმნიდა ეს?**
— ცოტათი კი, იმიტომ, რომ მარჯვენა ფეხით ისევე კარგად ვერ „მუშაობ“, როგორც მარცხენით, მაგრამ გუნდს ასე დასჭირდა და მეც მარჯვნივ ვითამაშე.
— **ახლა ლიტვასთან გელით შეხვედრა. უნგრეთთან შთამბეჭდავი გამარჯვების შემდეგ ხომ არ არის იმის საშეშობა, რომ საქართველოს ნაკრები მოდუნდება და ზედმეტად თავდაჯერებული დაუხვდება მეტოქეს?**
— არა, ასე არ იქნება. ძნელი თამაში გველის, რადგან ლიტვა, ალბათ, მიელი გუნდით დაცვაში ჩაჯდება, კონტრშეტევებზე ავაგებს თამაშს — ეს სირთულეებს შეგვიქმნის.
გიორგი დემეტრაძე:
— უნგრეთთან შეცვლაზე, მე მგონი, კარგად ჩავერთე, ნორმალურად ვითამაშე. ძალიან კარგი იქნებოდა, გოლი გამეტანა, მაგრამ არა უშავს, ამას მომდევნო მატჩებში შევეცდები.
— **შენს სოსივადელ თანაგუნდელ იანაკუსკასზე რას იტყვი? თქვენ ხომ ახლა მეტოქეები იქნებით.**
— იანაკუსკასი ძალიან ძლიერი ფეხბურთელია, ესპანეთში თამაშობს და სხვაგვარად არც იქნება. მის ძლიერ მხარეებზე კი ვიტყვი, რომ სწრაფია, ტექნიკური და თავით კარგად თამაშობს. ძალიან კარგი ბიჭივითაა. დღესაც ველაპარაკე და მითხრა, საბრძოლველად ვარ განწყობილი.



ლევან ციტიშვილი (№14) და გიორგი დემეტრაძე

ლევან ციტიშვილი:
— მგონი, უნგრეთთან კარგი თამაში იყო და ყველა კმაყოფილი დარჩა ამ მოკებით.
— **შენს თამაშს როგორ შეაფასებდი?**
— რა ვიცი, ალბათ ურიგოდ არ მითამაშია.
— **იმ ეპიზოდმა, ფლანგზე ორი მეტოქე რომ ჩამოიცილე და საოლე პასი შეასრულე, ყველა აღაფრთოვანა. როცა ბურთი მიიღე, შენს წინ ერთი უნგრელი იყო და ისე ჩანდა, ხელით მეორე მეტოქესაც ანიშებდი, მომიახლოვდიო...**
— მართლაც ისე გამოვიდა, მეორე უნგრელის მოახლოებასაც დაველოდე თუმც, ყველაშვილს ვითხოვდი, მოსულიყო, და რომ არ მოვიდა, მეტი ალარაფერი დამჩვენდა — მეტოქეთა მოტყუებას შევეცადე კარგად გამომივიდა და კარგი საოლე პასიც გადავიცი.
— **მარჯვენა ფლანგზე რომ მოვიწია თამაშმა, დისკომფორტს არ გიქმნიდა ეს?**
— ცოტათი კი, იმიტომ, რომ მარჯვენა ფეხით ისევე კარგად ვერ „მუშაობ“, როგორც მარცხენით, მაგრამ გუნდს ასე დასჭირდა და მეც მარჯვნივ ვითამაშე.
— **ახლა ლიტვასთან გელით შეხვედრა. უნგრეთთან შთამბეჭდავი გამარჯვების შემდეგ ხომ არ არის იმის საშეშობა, რომ საქართველოს ნაკრები მოდუნდება და ზედმეტად თავდაჯერებული დაუხვდება მეტოქეს?**
— არა, ასე არ იქნება. ძნელი თამაში გველის, რადგან ლიტვა, ალბათ, მიელი გუნდით დაცვაში ჩაჯდება, კონტრშეტევებზე ავაგებს თამაშს — ეს სირთულეებს შეგვიქმნის.
გიორგი დემეტრაძე:
— უნგრეთთან შეცვლაზე, მე მგონი, კარგად ჩავერთე, ნორმალურად ვითამაშე. ძალიან კარგი იქნებოდა, გოლი გამეტანა, მაგრამ არა უშავს, ამას მომდევნო მატჩებში შევეცდები.
— **შენს სოსივადელ თანაგუნდელ იანაკუსკასზე რას იტყვი? თქვენ ხომ ახლა მეტოქეები იქნებით.**
— იანაკუსკასი ძალიან ძლიერი ფეხბურთელია, ესპანეთში თამაშობს და სხვაგვარად არც იქნება. მის ძლიერ მხარეებზე კი ვიტყვი, რომ სწრაფია, ტექნიკური და თავით კარგად თამაშობს. ძალიან კარგი ბიჭივითაა. დღესაც ველაპარაკე და მითხრა, საბრძოლველად ვარ განწყობილი.



გიორგი დემეტრაძე

რატომ არ გყავთ კარგი ნაპრები?

გუშინ ლიტველებმა „ლოკომოტივის“ სტადიონზე საქართველოს ნაკრებთან მატჩამდე ერთხელაც ივარჯიშეს. წვრთნა მსუბუქი იყო, იტალიასთან 0:0-ის გულმოდგინებული ლიტველები უხასიათობას ნამდვილად არ უჩიოდნენ. კმაყოფილი ჩანდა ბალტიისპირელთა თავკაცი ბენიამინს ზელიკაიჭუსიც.

სტუმრები, მოლოდინისამებრ, ფიზიკურად კარგად მომზადებულნი ჩანან, თუმც ბურთთან არც ისე გამინაურებულნი არიან, რაც კვადრატის თამაშისასაც გამოჩნდა.


იტალიელთა მაგალითი იმის დასტურია, რომ ლიტვის ნაკრებისადმი არასერიოზული მიდგომა არავის გამოადგება. ქართველებიც ფრთხილად არიან, რაზეც ისიც მეტყველებს, რომ ალექსანდრე ჩივადემ ნავარჯიშებულ ლიტველთა რაობაზე ამბის მიმტანი დატოვა. ბალტიისპირელები შეკარეთა მწვრთნელმა ოთარ გაბელიამ დახვეწა.

საათნახევრიანი ვარჯიშის შემდეგ მცირე ინტერვიუ ვითხოვეთ სტუმართა კარის დარაჯს, გინტარას სტაუტეს.

— რას იტყვით საქართველოს ნაკრებთან მატჩზე?
— ეს ჩვენი ბოლო და, ფაქტობრივად, არაფრისმომცემი შეხვედრაა ამ შესარჩევ ციკლში, ამიტომ ყოველგვარი დამაბულობის გარეშე ვითამაშებთ. შევეცდებით, ტურნირი კარგად მაინც დავასრულოთ, თუმც ეს ძალიან ძნელი იქნება.
— **იტალიის ნაკრებთან თქვენი ფრე საკმაოდ მოულოდნელი შედეგი იყო...**
— იტალიელებთან დავამტკიცეთ, რომ ფეხბურთის თამაში შეგვიძლია, თუმც ვარკვეული მიზეზების გამო ეს ციკლი აშკარად ჩავაგდეთ.
— **საქართველოს ნაკრებზე რისი თქმა შეგიძლიათ?**
— საქართველოს ძალიან კარგი ფეხბურთელები ჰყავს, დღემდე მიკვირს, რატომ არ გყავთ კარგი ნაკრები.
— **კონკრეტულად რომელ ფეხბურთელს უფრთხობ?**
— შიშით არავისი მეშინია, თუმც ისიც ფაქტია, რომ თქვენ საკმაოდ ძლიერი წინა ხაზი გყავთ.

— რას იტყვით საქართველოს ნაკრებთან მატჩზე?
— ეს ჩვენი ბოლო და, ფაქტობრივად, არაფრისმომცემი შეხვედრაა ამ შესარჩევ ციკლში, ამიტომ ყოველგვარი დამაბულობის გარეშე ვითამაშებთ. შევეცდებით, ტურნირი კარგად მაინც დავასრულოთ, თუმც ეს ძალიან ძნელი იქნება.
— **იტალიის ნაკრებთან თქვენი ფრე საკმაოდ მოულოდნელი შედეგი იყო...**
— იტალიელებთან დავამტკიცეთ, რომ ფეხბურთის თამაში შეგვიძლია, თუმც ვარკვეული მიზეზების გამო ეს ციკლი აშკარად ჩავაგდეთ.
— **საქართველოს ნაკრებზე რისი თქმა შეგიძლიათ?**
— საქართველოს ძალიან კარგი ფეხბურთელები ჰყავს, დღემდე მიკვირს, რატომ არ გყავთ კარგი ნაკრები.
— **კონკრეტულად რომელ ფეხბურთელს უფრთხობ?**
— შიშით არავისი მეშინია, თუმც ისიც ფაქტია, რომ თქვენ საკმაოდ ძლიერი წინა ხაზი გყავთ.

ბროლი აა? ბროლი აიხოსნი



შოთა არველაძე

თანხა, როგორც ამბობენ, 3 მილიონი გირვანქა (5 მილიონ დოლარამდე), შეუერთდება ტორე ანდრე ფლოსს, კლაუდიო კანიჯას, მიხაელ მოლესს, კენი მილერს, ბილი დოდსს, რონალდ დე ბურს და რასელ ლატაპის „რეინჯერსის“ თავდასხმის ხაზთან ჩამწკრივებულ რიგში.

ჟურნალ „ფუტბოლ ინტერნეშენალისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მან თქვა: „დიკ ადოკატთან კარგი საუბარი მქონდა. ის ძალიან გულწრფელი იყო. „რეინჯერსის“ შემადგენლობაში ადგილის მოსაპოვებლად ბრძოლისა კი არ მეშინია. მეც ისევე მომიწევს ეს ბრძოლა, როგორც ნებისმიერ სხვა თავდასხმულს.“

„რეინჯერსის“ სატრანსფერო თანხას არ ამხელს, „აიაქსი“ კი ამბობს, რომ ეს 3 მილიონი გირვანქა აღსანიშნავია, რომ აიბრძვას არველაძის შექმნამდე შოტლანდიის ნაკრების წევრი ლონ პათისონი გაასხვისეს. „ვესტ ჰემი“ 30 წლის ფორვარდში 5 მილიონი გირვანქა გადაიხდა.

„რეინჯერსის“ თავმჯდომარე, დევიდ მურეიმ საკუთარი კლუბის საინტერნეტო ვებ-გვერდს განუცხადა: „არველაძე ბრწყინვალე მოთამაშეა და დიდებული შედეგი აქვს: 126 გოლი ქვეყნის ჩემპიონატებში და 15 ნაკრებში. ევჯი არ არის, ლონ პათისონზე მეტად ეს 28 წლის ფეხბურთელი გამოგვადგება.“

საქართველოს ნაკრების ფორვარდმა ერთი ხნის წინ ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში „რეინჯერსის“ თანაქალაქელ მეტოქეს, „სელტიკს“ გაუტანა გოლი.

„აიაქსში“ ის 1997 წელს თურქული ტრანზისფორიდან გადავიდა და წინა სეზონში გატანილი 18 გოლით პოლანდური გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. არველაძე კონტრაქტის თანახმად, ამსტერდამში კიდევ ერთ წელიწადს უნდა დარჩენილიყო, მაგრამ ამ ზაფხულს კონტრაქტის გაგრძელებაზე უარი განაცხადა.

თარგმანი ბაბუნა ქვიციანი

საქართველოს ჩემპიონატი	პირველი	13	წინა	ეტაპი
პირველი	13	წინა	ეტაპი	
პირველი ტურის გადამდებული მატჩები				
დილა 6:0 ლაზიკა				
სხინვალი 5:1 თორი				
სამბრაფია 0:1 ქოზულაი				

დილა	4 4 0 0 14:112
სხინვალი	4 3 0 110:4 9
ქოზულაი	4 3 0 1 3:4 9
მილანი	4 2 1 1 6:2 7
ლაზიკა	4 2 1 1 5:8 7
თსუ	4 2 0 2 4:2 6
სოზი	4 1 3 0 4:3 6
ლოკომოტივი 3	4 1 2 1 6:5 5
დინამო 2	4 1 0 3 4:5 3
მარანი 2	4 1 0 3 1:5 3
სამბრაფია	4 0 1 3 1:7 1
თორი	4 0 0 4 1:13 0

2 ტური

ალმოსავლეთი ზონა	
ლიახვი 1:2 დინამო 3	ოლივიკი 2 2 0 0 8:2 6
მარანი 3 0:3 ზოროვაი	ზოროვაი 2 2 0 0 5:0 6
მრავაზი 0:0 ვიბ ჯორჯია 2	მხსეთა 2 2 0 0 5:1 6
კრანისი 0:5 ოლივიკი	სხუმი 2 1 1 0 5:1 4
გაუდი 1:1 ივიკია	ივიკია 2 1 1 0 4:2 4
ჭაბუკიანი 1:1 ვარკია	ვარკია 2 1 1 0 3:1 4
ჯავახი 0:6 ალაზანი	ალაზანი 2 1 0 1 7:5 3
მხსეთი 1:2 აკადემია	აკადემია 1 1 0 0 2:1 3
სხუმი 0:0 ბორღა 2	დინამო 3 2 1 0 1 2:2 3
თბილისი 1:4 მხსეთა	ვიბ ჯორჯია 2 2 0 0 2:2 2
	ჭაბუკიანი 2 0 2 0 1:1 2
	ბორღა 2 2 0 2 0:0 2
	მრავაზი 2 0 1 1 2:3 1
	გაუდი 2 0 1 1 1:3 1
	მარანი 3 2 0 1 1 2:5 1
	მხსეთი 1 0 0 1 1:2 0
	ლიახვი 2 0 0 2 2:5 0
	თბილისი 1 0 0 1 1:4 0
	ჯავახი 1 0 0 1 0:6 0
	კრანისი 2 0 0 2 0:7 0



მილიონერის ფიქრები: საუკეთესო ვიქნები

გერმანიის ღამაქმეპარს საჭმელს დედიბო შეზადებს



მაიკლ ოუენმა რვა დღეში ოთხი გერმანული გოლი მიითვალა

1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩი პირველია, რომელიც მაიკლ ოუენს ასოვს. გაზას ცრემლები, ლინეკერის გოლი... მაგრამ მთავარი და საბედისწერო, პირისა და უოლდის გაცულებული პენალტები და გერმანიელთა სისარული 10 წლის მაიკლს არ უნახავს — ძილის დროს და მშობლებმა ბიჭი საწოლში მიაბრძანეს.

ორი წლით ადრე ოუენების ხუთშვილიანი ოჯახის ყველაზე გამორჩეული მობურთალი (ჩვენ ყველას ფეხბურთელობა გვსურდა, მაგრამ ოცნება მხოლოდ მაიკლმა აისრულა, ამბობს უფროსი ძმა ენდი) დისაიდის დაწვებითი სკოლის გუნდში ჩაირიცხა და მალე იქაური „ოლივერ კანების“ უპირველეს პრობლემად იქცა — 9 წლისამ სეზონში 97 გოლი გაიტანა და საგრაფოს წინა რეკორდიც დაამხო. პო, ეს ერთი შეხედვით ფენომენალური შედეგი (72 გოლი) პატარა იან რაშს ეკუთვნოდა.

იმ დროს მაიკლის მწვერული ამჟამად 56 წლის ბრინჯონი იყო. იგი ამბობს: „ჩვენთან რვა წლისა მოვიდა და ისე ჩანდა, სასწავლი ბევრი არაფერი ჰქონდა. ყველასგან უტყუი სული გამოარჩევა და ახლაც ეს თვისება ეხმარება. 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მერე რომ დაიმტვრა, ბევრი ფიქრობდა, ძველ ფორმას ვეღარ დაიბრუნებდნენ, თუმცა მაიკლმა დაამტკიცა, რომ პრობლემების გადაწყვეტის ოსტატია“.

მიხტერ ჯონსმა შეგიძლია პეთ-ორი-

ქსა და ინგლისის ნაკრების მიუნხენურ ტრიუმფს ლუდსანა „გვირგვინი და ღვიძლი“, ტელევიზიით უყურა. იქვე იყვნენ მატჩის გმირის ძმები (ენდი და ტერი), დები (კარენი და ლესლი) და ოჯახის მეგობრები. ეს პაბი ჩრდილოეთ უელსის ერთ პატარა ქალაქში მდებარეობს, სადაც „ლივერპულს“ თავდასხმულმა ერთი ქუჩა 750 ათას გირვანქად შეიძინა და ოჯახის წევრები ერთმანეთის მეზობლად დაასახლა. ადვილად წარმოსადგენია, რა ზღბოდა შაბათ საღამოს ამ პაბში. ენდი ოუენი ყვება: „თამაშის დამთავრებისთანავე დავკურეკე და შევატყვე, რომ ძალიან აღტკინებული იყო. არადა, მეტად ცივი გონების ბიჭია და ემოციებს მოედინის გარეთ არასოდეს გამოხატავს. ასე მითხრა, ეს ინგლისისთვის გავაკეთე, პეთ-ორიქს კი თქვენ გიძღვნი, ვინც აქ მიუნხენში არ იყავით და შინიდან მიჭერდით მხარსო“. ტრიუმფატორის უფროსი ძმა თავის განცდებსაც არ ძალავს: „გერმანიამ რომ გაიტანა, ვიფიქრე — აუ, ისევე იგივე ბაზარი წავიდა-მეთქი. მერე მაიკლმა გაიტანა, ჯერარდის გოლის შემდეგ კი მივხვდი, რომ ჩვენები ხომ შინადა მოიგებდნენ, ამიტომ მეორე ტაიმში სასმელსაც მივეტანეთ და გამარჯვებაც აღვნიშნეთ. ცხადია, მაიკლის წარმატებით ბედნიერი და ამყინ ვართ“. ამასვე ამბობენ მაიკლის მშობლები, ტერი და ჯენეტი, რომლებიც მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე იყვნენ და ცოცხლად უყურებდნენ, როგორ აბითურებდა მათი შერთხე შვილი გერმანელებს.

...იმ დროს, ანუ 1979 წლის 14 დეკემბერს, როცა მაიკლი ქვეყანას მოეწვინა, დედამისი ოფისის მუშაკი გახლდათ, მამა კი — სადაზღვევო აგენტი. ტერი ოუენს მანამდე ფეხბურთელობაც მოესწრო: „ჩესტერში“, „რონდელისა“ და თვით „ვევერტონშიც“. მამის კვალს გაჰყვა და ლივერპულში სათამაშოდ წავიდა მაიკლიც, ოღონდ „ვევერტონის“ მტერ „ლივერპულში“. სახელგანთქმულ გუნდამდე ის ფეხბურთის ასოციაციის ნიჭიერ მოზარდთა სკოლაში იწვრთნებოდა, „ენფილდ როულზე“ კი „თავისუფლად მოვარჯიშის“ სტატუსით მივიდა და მისი პირველი ზეღფასი კვირაში 42 გირვანქასა და 50 პენსს შეადგენდა.

პირველ პრემიერლიგურ სეზონში ოუენმა 18 გოლი გაიტანა, ხელფასი კი კვირაში 10 ათასი გაუხდა. მალე ინგლისის ნაკრებშიც გამოიძინეს და 18 წლისა და 59 დღისა ჩილესთან სათამაშოდ მიუშვეს. მერე იყო საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატი, სადაც „ბეიბიგოლმა“ არგენტინას ულამაზესი გოლი შეუგლო და თავი მთელ სამყაროს გააცნო.

ახლა ოუენს კვირაში 30 ათას გირვანქას უხდენ და მალე ეს თანხა გაორმაგდება. ამასთან ერთად, 21 წლის ბომბარდირი მილიონებს იღებს „უმბროსთან“, „პეპსისთან“, „აიგუართან“ და კიდევ ორ ფირმასთან დადებული კონტრაქტების წყალობით. ჰყავს ორი ცხენი, იშენებს 200 ათასიან სახლს პოუერდენში, სადაც მისი შეყვარებული, 20 წლის ლუიზ ბონსალი ცხოვრობს. ააშენებს და დამოუკიდებელ ცხოვრებასაც დაიწყებს. მანამდე კი თვით ოლივერ კანისთვის თავზარდამცემი ფორვარდისთვის საჭმელს დედიბო ამზადებს.

შაბათის პეთ-ორიქი? „არ მგონია, 5:1 და ჩემი მიღწევა მალე განმეორდეს. ეს დღესასწაული იყო, თუმცა ახლა ამაზე აღარც ვფიქრობ. ახალი ოცნება მაქვს...“

მწელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს, რაზე ფიქრობს ოუენი — პეთ-ორიქი ხომ ერთ ცნობილ ინგლისელს, სერ ჯეფრი ჰერსტს, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალშიც გაუტანია.

ზიზა კობახიძე



მომავალი მისის ოუენი, 20 წლის ლუიზ ბონსალი



ინგლისელებს გაჰქონდათ, საწყალ კანს გამოჰქონდა...

გერმანული მიზეზ-მიზეზ დაუპინუარი მარცხის ანატომია

დაშქინებულ მტერთან დაუფინყარი მარცხის კვალდაკვალ გოეთესა და შილერის თანამემამულენი მიზეზთა ძიების უფსკრულში გადაეშენენ. გერმანელები ალბათ დიდი სიამოვნებით დამარცხდებოდნენ იმავე ანგარიშით ქართველებთან, ოღონდ არამც და არამც ინგლისელებთან. თანაც სად? „ოლიმპიაშტადიონზე“, მიუნხენში, ნაციზმის დედა-ქალაქში.

მარცხის მიზეზთა ძიებას დიდი ხანი არ დასჭირვებია. ურუნალმა „იკიკრმა“ ჩვეული პრაგმატიზმით ათი მიზეზი გამოიჩინა, რომელთა დაძლევის შედეგად ფიოლერის ნაკრებს მეტ-ნაკლებად ეშველება.

პირველი: ფსიქოლოგია — თავბრუდამხვევი წარმატებებისა და კარგი დასაწყისის შემდეგ გუნდმა კონცენტრაცია დაკარგა. ამის გამო საპასუხისმგებლო ტვირთის ტარება ბოლომდე ვერ შეძლო. არსად ჩანდა მებრძოლი ხასიათი, ხოლო ოლივერ კანი, როგორც ლიდერი, მოწოდების სიმაღლეზე არ აღმოჩნდა.

მეორე: შეუთამაშებლობა — ფეხბურთელები სათანადო აგრესიულობით არ თამაშობდნენ, თანაც ბავშვურ შეცდომებს უშვებდნენ, რაც თავის მხრივ დაბალ კლასზე მიუთითებს.

მესამე: ტაქტიკა — გამოკვეთილი ტაქტიკური მონახაზის უქონლობა. ინგლისელები ყოველგვარი პრობლემების გარეშე ლაღად დასვირნობდნენ მოედნის შუა ნაწილში, გერმანელები კი მათთან შედარებით გაჩერებულებს ჰგავდნენ. ძალიან მოისუსტებდნენ ფლანგები.

მეოთხე: გაურკვეველი სისტემა — მოთამაშეები ვერ არკვევდნენ საკუთარ პოზიციებს და მინდორზე უპატრონო ინლაურებივით დაეხეტებოდნენ. არ იქმნებოდა სივრცეები შეტევისათვის.

მესამე: ღაცვა — როცა გერმანელთა კარში გოლები პანტაპუნტით გადიოდა, დაცვის ხაზი გაუნძრევლად იდგა. კრისტინ ვიორსი და თომას ლინკე ვერ ასწრებდნენ ოუენისა და ჰესკის ამოკეტვას, ამიტომაც ისინი ბურთის თავისუფლად იღებდნენ. იენს ნოვოტნიც თავის მხრივ ვერ

აზღვედა თანაგუნდელებს ამ თვალსაზრისით ეს მატჩი ძალიან წააგავდა „ლივერპულს“ — „ბაიერნის“ შეხვედრას.

მეექვსე: ნახევარდაცვა — ლიტმარ პამანმა დისპენერის ფუნქციას თავი ვერ გაართვა. მიხაელ ბალაკი კი ისეთი პასიური იყო, როგორც არასდროს. ისინი თითქმის არც დარბობდნენ, რამაც დაცვისა და წინა ხაზის მოქმედებებზე პირდაპირი გავლენა იქონია.


მეშვიდე: ლიდერები — ძალზედ გაგვაწვილა ოლივერ კანმა. მან თანაგუნდელთა ბრძოლის ფინით დამუხტვა ვერ შეძლო. ნაკლებაქტიური იყო სებასტიან დაისლერი, ნოვოტნი კი საერთოდ დაიკარგა.

მერვე: ხარისხი — ფეხბურთელებს ზუსტი პასები არ გამოსდიოდათ. მათ ვისაც მეტოქის ყველაზე სახიფათო მოთამაშეების მურეგობა ევალებოდათ, აშკარად ჩაფლავდნენ.


მეცხრე: ვარსკვლავთ სიმცირე — ეფენბერგის, შოლისა და იერემისის არყოფნაში მათი შემცველები გუნდში არ აღმოჩნდნენ. შევკიდლია გერმანული ფეხბურთის კრიზისზე ლაპარაკი. აღარსად გვყავს მაღალი ღონის შემსრულებლები, ადრე კი ისინი, როგორც წვიმის შემდეგ სოკოები, ისე იზრდებოდნენ.

მათამ: 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრა — ასეთი გამანადგურებელი მარცხის შემდეგ საპლიოთო მატჩი უკვე შიშავს კი იწვევს.

მათა ხუციშვილი



მაიკლ ოუენი სერ ჯეფრი ჰერსტთან და მამამის ტერისთან ერთად



მაიკლ ოუენი სერ ჯეფრი ჰერსტთან და მამამის ტერისთან ერთად

იყიდება სასწრაფოდ!

შავი ანტიკვარული როიალი „ბენშტეინი“, ნახევრადსაკონცერტო, მე-19 საუკუნის, დამზადებულია შეკვეთით. ფასი შეთანხმებით

ტელ: 22-23-15

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ბოლო მატჩს გამართავს, ზოგიც ბოლოსწინას. ზოგიც დღეს, ალბათ, კორეა-იაპონიის საფეხბურთო მოთხოვნებს, ზოგის ოცნებაც დასამარდება. უმეტესობას მსოფლიოზე გასვლის იმედი კარგა ხანია, დაკარგული აქვს.

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ბოლო მატჩს გამართავს, ზოგიც ბოლოსწინას. ზოგიც დღეს, ალბათ, კორეა-იაპონიის საფეხბურთო მოთხოვნებს, ზოგის ოცნებაც დასამარდება. უმეტესობას მსოფლიოზე გასვლის იმედი კარგა ხანია, დაკარგული აქვს.

დღეს ზოგი გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ბოლო მატჩს გამართავს, ზოგიც ბოლოსწინას. ზოგიც დღეს, ალბათ, კორეა-იაპონიის საფეხბურთო მოთხოვნებს, ზოგის ოცნებაც დასამარდება. უმეტესობას მსოფლიოზე გასვლის იმედი კარგა ხანია, დაკარგული აქვს.

ახლა სწორედ ის დროა, გუნდების შანსები შევაფასოთ.

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ბოლო მატჩის შედეგების მიხედვით

ქალების დაჯგოვების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება:

1. ბურთების უაქტიესი შედეგობა; 2. მატჩში გატანილი გოლები;

3. ურთიერთმანქანაობის უაქტიესი შედეგობა.

თუ ყველა ეს მაჩვენებელი თანაბარია,

ჩატარდება ერთმანეთთან გადართობის ნაირნაირი მეთოდი

I ჯგუფი

იუგოსლავია — სლოვენია
ლუქსემბურგი — შვეიცარია
ფარერები — რუსეთი

თავიდანვე შევთანხმდეთ, რომ შაბათს ლუბლიანაში წაგების მიუხედავად რუსეთის ნაკრები პირველზე თუ არა, მეორე ადგილზე უეჭველად გაეკავებს. რუსებს დღეს ფარერებთან დამარცხება ჰყოფნით, რაც საეჭვოა, გაუჭირდეთ. თუ ჩვენმა ჩრდილოელმა მესაზღვრებმა ერთი თვის მერე შევიცარიელეთ და დამარცხებულნი, ცხადია, პირველობას არავის დაუთმობენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მათი პირველადი პოზიციის ბედი იუგოსლავიელთა და სლოვენელების ხელში იქნება.

ამ ჯგუფში დარჩენილ მატჩთან დაკავშირებული დღევანდელი იუგოსლავია — სლოვენია, რაკი დამარცხებული სულაც პლეი ოფის მიღმა რჩება და ბოლო ტურის შეხვედრებში, ფაქტობრივად, აღარაფერი შეიცვლება — აბა, როგორ ვივარაუდოთ, რომ ბალკანელები ექვს ოქტომბერს ლუქსემბურგთან და ფარერებთან ვერ მოიგებენ.

იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთი უეჭველად მოუგებს ფარერებს, ხოლო სლოვენია ბოლო ტურში ამავე კუნძულებს, შესაძლოა მათ თანაბარი ქულები დაგროვონ. ამისთვის სლოვენია დღეს ფრედ უნდა ითამაშოს იუგოსლავიის, ხოლო რუსეთი ერთი თვის მერე დამარცხდეს შვეიცარიისთან. ამ შემთხვევაში უპირატესობა ბურთების უკეთეს შეფარდებას ენიჭება, რითაც ამჟამად რუსები სლოვენელებს ჯობნიან — პლუს ექვსი პლუს ხუთის წინააღმდეგ.

რუსეთი	8	5	2	1	11:5	17
სლოვენია	8	4	4	0	13:8	16
იუგოსლავია	8	4	3	1	15:5	15
შვეიცარია	8	3	2	3	15:8	11
ფარერები	8	2	1	5	6:17	7
ლუქსემბურგი	8	0	0	8	2:19	0

მოდო ტურნი იუგოსლავია — ლუქსემბურგი რუსეთი — შვეიცარია; სლოვენია — ფარერები



ბელგიური სამაია-სამფეხა

II ჯგუფი

პოლანდია — ისტონეთი
კვიპროსი — პორტუგალია

პოლანდიას რა უბედურებაც დაემართა, კარგად ვიცით და ამაზე სიტყვას ნულარ გავაგრძელებთ. ასევე უადვილოა ლაპარაკი ესტონეთის შანსებზეც. ამ ჯგუფში დღეს მხოლოდ პორტუგალიას სჭირდება სამი ქულა და მწელი წარმოსადგენია, ვერ მოიპოვოს. ამ შემთხვევაში პირინელები ქულებით უთანაბრდებიან პირველადი პოლანდიას. ბოლო ტურში კი პორტუგალიასაც და ირლანდიასაც ისეთი მეტოქეები ჰყავთ, წესით, გამარჯვება არ უნდა გაუჭირდეთ და პირველადი პოლანდიის ვინაობას დამატებითი კრიტერიუმები განსაზღვრავს. დავითვალთ: ბრიტანელთა ბურთების შეფარდება პლუს თოთხმეტი, პორტუგალიელებისა (დღეს მინიმუმ ერთი ბურთით რომ მოიგონ) პლუს ოცი მაინც გახდება. ეს კი ნიშნავს, რომ ბოლო ტურში ირლანდიას კვიპროსთან ასტრონომიული ანგარიშით გამარჯვება დასჭირდება (პორტუგალიაც რომ გაუტანს ერთ-ორ გოლს ესტონეთს), რაც მწელი წარმოსადგენია. ამიტომ უპლეიოფიდ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის მეტი შანსი ფიგურსტომელებს აქვთ.

ირლანდია	9	6	3	0	19:5	21
პორტუგალია	8	5	3	0	25:6	18
პოლანდია	8	4	2	2	21:9	14
ესტონეთი	8	2	2	4	10:16	8
კვიპროსი	8	2	2	4	12:24	8
ანდორა	9	0	0	9	5:32	0

მოდო ტურნი: პოლანდია — ანდორა; პორტუგალია — ესტონეთი; ირლანდია — კვიპროსი

III ჯგუფი

ჩინეთი — გალტა
გუბარათი — დანია
ჩრდ. ირლანდია — ისლანდია

ამ ერთბაშად ოთხი გუნდი აგრძელებს მსოფლიოზე გასასვლელად ბრძოლას, გამორჩეული კი ბულგარე-

თ-დანის მატჩი იქნება. გამარჯვების შემთხვევაში მასპინძლებს პირველ ადგილში ჩეხეთი თუ შეეცილება, რომელსაც დღეს მალტის დამარცხება არ უნდა გაუჭირდეს. თავის მხრივ, დანიას, რომელსაც ჯერ თამაში არ წაუგია, სოფიაში მოგება სულ მცირე პლეი ოფს გაუწადლებს.

უფრო მოკრძალებული შანსი აქვს ისლანდიას, რაკი კუნძულებითაა ბედი საკუთარი თავის გარდა სხვათა შედეგებზეც იქნება დამოკიდებული. თუ ისლანდიელებმა დღესაც მოიგეს და მერე დანიაც დაამარცხეს, რაც თავისთავად საეჭვოა, მათი საპლეიოფო საფურის საკითხს ბულგარეთი — დანიის და ჩეხეთი — ბულგარეთის მატჩები გაარკვევს.

მოკლედ, გვარიანად ჩახლართული ვითარებაა და ყველა შესაძლო ვარიანტის ჩამოთვლას აქ ვერ აუვალთ. ისე კი, ყველაზე ცუდი კალენდარი ლიდერ ბულგარეთს აქვს.

ბულგარეთი	8	5	2	1	14:7	17
დანია	8	4	4	0	14:6	16
ჩეხეთი	8	4	2	2	11:6	14
ისლანდია	8	4	1	3	14:11	13
ჩრდ. ირლანდია	8	1	2	5	7:12	5
მალტა	8	0	1	7	2:20	1

მოდო ტურნი: ჩეხეთი — ბულგარეთი; დანია — ისლანდია; მალტა — ჩრდ. ირლანდია

IV ჯგუფი

თურქეთი — შვედეთი
სლოვაკეთი — გოლანდია
აზერბაიჯანი — მალდოვინა

ამ ჯგუფში კითხვები ძალიან ცოტაა. ფაქტობრივად, ყველაფერი შესაძლოა დღეს დასრულდეს, თუ შედეგები თურქეთის დამარცხებას შედეგებს. ამ შემთხვევაში შედეგითი კორეა-იაპონიაში წავა, თურქეთი კი პლეი ოფში იჭიდდება. თეორიულად თურქეთა დაწვევა სლოვაკეთსაც შეეძლება, მაგრამ საეჭვოა, გადაუსწრონ: ერთი იმბოტომ, რომ თურქეთმა ბოლო ტურში მოლოდინთან არ უნდა წააგოს და მეორეც — რომც დამარცხდეს, ბურთების შეფარდებით, გატანილი გოლებისა და ურთიერთშეხვედრებით თურქები სჯობნიან სლოვაკებს.

მსგავსი სცენარი განვითარდება მაშინაც, თუ თურქეთი-შვედეთის მატჩი ფრედ დასრულდება, რადგან თურქეთისგან შედეგად დაწვევის შანსი მიხურული ხდება.

მაგრამ საყვებით შესაძლებელია, რომ დღეს თურქეთმა მოიგოს. ამ შემთხვევაში უკვე თურქეთი გადის პირველ ადგილზე, რადგან ბოლო ტურში ორივე, ალბათ, მოიგებს. ასე რომ, ამ ჯგუფში მოვლენების განვითარების, ფაქტობრივად, ორი ვარიანტია (სენსაციებს თუ გამოვირიცხავთ).

შვედეთი	8	6	2	0	15:2	20
თურქეთი	8	5	3	0	14:6	18
სლოვაკეთი	8	3	2	3	7:7	11
მალდოვინა	8	1	3	4	10:12	6
მოლოდინა	8	1	3	4	4:13	6
აზერბაიჯანი	8	1	1	6	3:13	4

მოდო ტურნი: მალდოვინა — სლოვაკეთი; მოლოდინა — თურქეთი; შვედეთი — აზერბაიჯანი


V ჯგუფი

უკრაინა — სომხეთი
გაბარუსი — პოლონეთი
ნორვეგია — უელსი

პოლონეთს ამბავი აღარ გვაინტერესებს — პირველ ადგილზეა და

უკრაინა	8	6	2	0	19:6	20
უკრაინა	8	3	4	1	9:7	13
ბელარუსი	8	3	3	2	8:9	12
უელსი	8	0	6	2	7:9	6
სომხეთი	8	0	5	3	6:12	5
ნორვეგია	8	0	4	4	5:11	4

მოდო ტურნი: უელსი — ბელარუსი; სომხეთი — ნორვეგია; მოლოდინა — უკრაინა



დვიდ ბექემს ექიმები დაეხვედნენ: ამას რომ რამე ეტყინოს...

მორჩა. საინტერესო უკრაინისა და ბელარუსის შანსებია. შესაძლოა, ყველაფერი დღესვე გაიკვეთს — თუ უკრაინამ სომხეთს მოუგო, ხოლო ხაცკევი და ბელკევი მომულებული ბელარუსი უმოტივაციო პოლონეთთან დამარცხდება.

სხვა ვარიანტთა შორის ისეთიცაა, რომ მეზობლებმა ერთნაირი ქულები დააგროვონ. ამ შემთხვევაში უპირატესობა ჯერჯერობით უკრაინელთა მხარესაა, რომელიც უშუალო მეტოქეს ბურთების შეფარდებითაც, გატანილი გოლებითაც და ურთიერთშეხვედრების შედეგების მიხედვითაც სჯობს.

პოლონეთი	8	6	2	0	19:6	20
უკრაინა	8	3	4	1	9:7	13
ბელარუსი	8	3	3	2	8:9	12
უელსი	8	0	6	2	7:9	6
სომხეთი	8	0	5	3	6:12	5
ნორვეგია	8	0	4	4	5:11	4

მოდო ტურნი: უელსი — ბელარუსი; სომხეთი — ნორვეგია; მოლოდინა — უკრაინა

VI ჯგუფი

სან მარინო — სოლომონის კუნძულები
გაბარუსი — შოტლანდია

ამ ჯგუფში ოთხი მატჩი დარჩა, რომელთაგან ორის: სან მარინო-სოლომონისა და შოტლანდია-ლატვიის შედეგები, ფაქტობრივად, წინაწინვე ცნობილია. რთული გრაფიკი აქვს ბელგიას, თუმცა თუ შოტლანდიას ან სოლომონის დაამარცხებს, მინიმუმ მეორე ადგილზე გავა. შესაბამისად, სქოთთა და სოლომონის შორის უკეთესი ის იქნება, ვინც ბელგიის წინააღმდეგ უკეთესად ითამაშებს. ისეც შეიძლება მოხდეს, რომ დღესთვის ლიდერი ბელგია საბოლოოდ მესამე ადგილზე აღმოჩნდეს.

ბელგია	6	4	2	0	23:5	14
სოლომონის კუნძულები	6	3	3	2	10:2	12
შოტლანდია	6	3	3	0	10:3	12
ლატვია	7	1	1	5	4:14	4
სან მარინო	7	0	1	6	3:26	1

მოდო ტურნი: სოლომონის კუნძულები — ბელგია; შოტლანდია — ლატვია

VII ჯგუფი

ლიტვა — ალბანეთი
აზერბაიჯანი — გრენო

ალბათ, პროცენტის შემოღონდით თუ იქნება იმის ალბათობა, რომ ესპანეთი პირველ ადგილზე ვერ გაევიდეს. ამიტომ ამ ალბათობის განხილვით თავს ნუ შევიწუხებთ. აქ საინტერესო მორეაგაციოსნის ვინაობაა.

ყველაზე რეალურია, რომ დღეს ავსტრია ბოსნიას დაამარცხებს და საპლეიოფო საფურის ბედი ბოლო ტურის

ისრაელ — ავსტრიის მატჩში გადაწყდება. იმ შემთხვევაში ფრის ან სტუმართა გამარჯვების შემთხვევაში ყველაფერი გასაგებია. აი, ისრაელმა თუ მოიგო, ბურთების შეფარდებას დაითვლიან და როგორც ჩანს, ეს მაჩვენებელი ებრავლებს უკეთესი აღმოაჩნდება.

ესპანეთი	7	5	2	0	19:4	17
ისრაელი	7	3	2	2	10:6	11
ავსტრია	6	3	2	1	7:7	11
ბოსნია	6	1	2	3	7:10	5
ლიტენშტაინი	6	0	0	6	0:16	0

მოდო ტურნი: ისრაელი — ავსტრია; ბოსნია — ლიტენშტაინი

VIII ჯგუფი

სამარინო — ლიტვა
შვედეთი — რუმინეთი

სამარინო დაამარცხებს ჯერ ლიტვას, მერე — რუმინეთს. უწრეთი მოუგებს რუმინეთს და წააგებს იტალიასთან. შედეგად საქართველო პლეი ოფში გავა. ასეთი ვარიანტი ჩვენი ნაკრების ყოფილმა მწვრთნელებმა ადრევე იანგარიშეს, თუმცა უფრო რეალურად ის გვეჩვენება, რომ მეორე ადგილი რუმინელებს დარჩებათ და არა ჩვენ — სამწუხაროდ, პირველზე კი იტალია გავა.

იტალია	7	5	2	0	15:3	17
რუმინეთი	6	4	0	2	7:6	12
უნგრეთი	6	2	2	2	14:0	8
საქართველო	6	2	0	4	9:11	6
ლიტვა	7	0	2	5	3:18	2

მოდო ტურნი: იტალია — უნგრეთი; რუმინეთი — საქართველო

IX ჯგუფი

ინგლისი — ალბანეთი
ფინეთი — საბერძნეთი

300მკამი, ბოლო ტურში გერმანიამ სირცხვილი ჩამოირიცხა და ფინეთს მოუგო. მაშინ ჯგუფში პირველ ადგილზე გასასვლელად ინგლისს დარჩენილი ორივე მატჩის მოგება სჭირდება. თანაბარი ქულების დაგროვებას ინგლისი ყველა კრიტერიუმით სჯობს გერმანიას. თეორიულად შესაძლებელია, რომ ინგლისი მესამეზე დარჩეს და პლეი ოფში ფინეთი გავიდეს, მაგრამ თქვენ გვერათ ამის?

გერმანია	7	5	1	1	14:10	16
ინგლისი	6	4	1	1	12:4	13
ფინეთი	6	2	2	2	7:6	8
საბერძნეთი	6	2	0	4	4:10	6
ალბანეთი	7	1	0	6	5:12	3

მოდო ტურნი: გერმანია — ფინეთი; ინგლისი — საბერძნეთი

მსოფლიოს ჩამაიონათის შესარჩევი ეტაპი
საფხვრეთა აზიური ჯგუფი XV ტურის

დღეს. გუანჯოუს აირი
არგენტინა — ბრაზილია

მმართველი: ხერმან ბურგოსი (ატლანტიკო, ესპანეთი), პაბლო კავალიერი (სელტა, ესპანეთი);
მცველები: რობერტო აილა (ვალენსია, ესპანეთი), ნელსონ ვიეა (ინტერი, იტალია), ვალტერ სამუელი (რომა, იტალია), მურისიო პონტინიო (პსკ, საფრანგეთი);
ნახმარმცემლები: ზაიერ მანეტი (ინტერი, იტალია), დიეგო სიმონე (ლაციო, იტალია), ზუან პაბლო სორინი (კრუსეირო, ბრაზილია), მარსელო გალიარდო (მონაკო, საფრანგეთი), მატეას ალმეიდა (პარმა, იტალია), დიეგო პლასენტი (ლევანტე, ესპანეთი), პაბლო აიბარი, ელი გონსალესი (ორივე ვალენსია, ესპანეთი);
თავდასხმელები: ერან კრესპო, კლაუდიო ლოპესი (ორივე ლაციო, იტალია), ზულიო კრუზი (ბოლიონა, იტალია), გუსტავო ლოპესი (სელტა, ესპანეთი)

მმართველი: ნელსონ დიდა (მილანი, იტალია), მარკოსი (პალმერასი);
მცველები: როკე უნიორი (მილანი, იტალია), კაფუ (რომა, იტალია), ლუსიო (ლევანტე, ესპანეთი), გერმანია (პარმა, იტალია), რობერტო კარლოსი (რეალი, ესპანეთი), კრისი (კრუსეირო, ესპანეთი), ფუანი (ვალენსია, ესპანეთი);
ნახმარმცემლები: მარკოსი (პალმერასი), დიონი (საფრანგეთი), ვამპეტა, ალექსი, ტინგა (ყველა ვენეცია), ლეონარდო (სან პაულუ);
თავდასხმელები: მარსელინო პარაბა (პერტა, გერმანია), ჯოვანი ელბერი (მაიორი, გერმანია), დენილსონი (მეტისი, ესპანეთი), რივალდო (პარმე, ესპანეთი), დიეგო ბელეტტი (სან პაულუ), ეულერი (ვასკო და გამა)



დიეგო სიმონე მატის წინ კარგ ხასიათზეა

დღეს ბუნის აირის „მონუქენ-ტალზე“ ოდინდელი მოსახლენი კიდევ ერთხელ შეერკინებან ერთმანეთს. თამაშზე დასწრების მსურველნი დახვდებიან უამრავი, მაგრამ ბილეთების რაოდენობა მხოლოდ ორმოცდაათი ათასი და მატჩამდე კარგა ხნით ადრე დატყვევდა „კლასიკომ“ (ამგვარი სახელითა ცნობილი არგენტინა — ბრაზილიის შეხვედრები) სტადიონს მარტო ბილეთებით დღემდე არასულ შემოსავლი, მილიონნახევარი დოლარი მოუტანა.

დღეს მხოლოდ ორმოცდაათი ათასი და მატჩამდე კარგა ხნით ადრე დატყვევდა „კლასიკომ“ (ამგვარი სახელითა ცნობილი არგენტინა — ბრაზილიის შეხვედრები) სტადიონს მარტო ბილეთებით დღემდე არასულ შემოსავლი, მილიონნახევარი დოლარი მოუტანა.
თუმცა ეს ფინანსები, რომელთანაც „კლასიკოს“ საერთო არაფერი აქვს. ფეხბურთელებს და ქომაგებს სულ სხვა ჯიჯის წვა აქვთ. არგენტინელებს კორეა-იაპონიის საგზური ჯიბეში აქვთ, მათ ჩრდილოელ მეზობლებს კი ქულები ძალიან სჭირდებათ. ეს ზოგს აფიქრებინებს, რომ მასპინძლებს თავს არ მოიკლავენ, მაგრამ ამგვარი რამ მხოლოდ საქმეში ჩაუხედავმა შეიძლება თქვას.
„ბრაზილიელთა ძლიერ ერთობს სასიამოვნო რამ იქნება. გამარჯვება ჩვენი ნაკრების ტრიუმფალურ სვლას ისევე მოუხდება, როგორც ტკბილედ მწიფე ალუბალი“ თქვა ერან კრესპომ ისიცი გავიხსენოთ, რომ ბიელსას დიჭებს ამ შესარჩევში ერთადერთი სიმწარე სწორედ ტეტრაკამპონებისგან


ასსოვთ. სან პაულუმ ბრაზილიელებსა მუდმივი მოქიშპე 3:1 დასცეს. არგენტინელები რევანშის აღების შანსს ხელიდან გაშვებან, ცხადია, არ აპირებენ. ყოველ შემთხვევაში, ბრაზილიელი ფეხბურთელები მატჩის წინ სწორედ ამ „პატარა წვრილმანზე“ ლაპარაკობენ: „მათ მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობა განადგობელი აქვთ, ახლა კი ჩვენთან მოგების წყურვილი კლავთ. მიუხედავად ამისა, არგენტინა — ბრაზილია ისეთი რამაა, ვერ იტყვი, ვინაა ფავორიტი.“
თანაგუნდელებს „რეალის“ ვარსკვლავი რობერტო კარლოსიც კანანხემბა. ოდინდელ უფრო კანინია და ერან კრესპო და მისი გასტრონომია, რბილად რომ ვთქვათ, არ აღეგებს: „არ მაინტერესებს არც კრესპოს და არც სხვათა აზრი. მეტოქეს ვაფასებ, მაგრამ მისი ოდნავაც არ გვეშინია.“
ფეხბურთელები ფეხბურთელებად და მწვრთნელებზე ვიქვით ორიოდე სიტყვა. ბიელსა მშვიდადაა, დასაკარგი არაფერი აქვს. აი, სკოლარი კი ნერვიულობს, ტერესოპოლისში შეკრებილი მწვრთნელები სულ ლანძღვა-ძაგებაში ჰყავს. ბრაზილიელ ფეხბურთელებს სხვა რა გზა აქვთ, უთმუნენ აქამდე ზედმეტად ემოციურ მწვრთნელს. მრავლის-

ნახველი ვეტერანი, ოცდაცამეტი წლის მარკოსი სილვა ამბობს, სკოლარის არ გაემტყუნებო: „მატჩი გადაწყვეტია და სკოლარის ამგვარი ტონი არცაა გასაკვირი. ხანდახან ამეტიბეს ხოლმე, თუმცა ფეხბურთში ეს დასაშვებია.“
სკოლარი ვარჯიშებზე და თამაშებზე თავშეუკავებელი, თორემ სხვა დროს საღად, ნორმალურად აზროვნებს: „არგენტინელებთან მატჩში შანსები თანაბარია. ვიცით, რომ მათ უფრო ხშირად პირველ ოცდაათ წუთში გააქვთ, მაგრამ ისიც არ გვაფიქვდება, რომ არგენტინელები საკუთარ კარშიც უშვებენ.“
„დიდ ფილს“ ყველა ჯანზე ჰყავს, მხოლოდ მარკოსი სილვას აწუხებს მცირე ტრავმა. მარსელო ბიელსას კი არაფერი უჭირს. წარმოიდგინეთ, ბიელსას ნაკრებში ყველა დროის საუკეთესო არგენტინელი მეგოლის, ბატისტუტუს ადგილიც ვერ გამოინახა. მწვრთნელი იმედს კლაუდიო ლოპესისა და ერან კრესპოს წყვილზე აყარებს, თუმცა კი „ბატისტოლსაც“ მიაგებს კუთვნილი: „გაბრიელ ბატისტუტუს გუნდში ყოფნამ შესაძლოა ტაქტიკური მონახაზი არიოს. მისი სკამზე ჯდომა კი გაუმართლებელია. გუნდს ასეთი ავტორიტეტის თადარიგში ყოფნა კარგს არაფერს მოუტანს.“

გიორგი მამარლაშვილი

რივალდო ერთი უბრალო ბიჭია

თავმდაბალმა ვიტორ ბარბოსა რივალდომ ათასი მადლობა გადაუხადა დიეგო არმანდო მარადონას მას შემდეგ, რაც საუკუნის ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა თქვა: „დღესდღეობით ესთეტიკურ სიამოვნებას მსოფლიოში ერთადერთი ფეხბურთელის თამაში მანიჭებს. რივალდო შეუდარებელია.“
რივალდო რომ მართლაც დიდი ფეხბურთელია, ამას მარადონას დასტური არ სჭირდება. ქვემოთ თვით ვიტორ ბარბოსას მოვეუსმინოთ, რომელიც საკუთარი პიროვნებისა და ბრაზილიის ეროვნული გუნდის შესახებ თანამემამულე ჟურნალისტის რამდენიმე კითხვას პასუხობს.



მარკოსი სილვა და რივალდო

— თვით თუ არა, რომ ამჟამად მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ხართ?
— არა, მე თავს საუკეთესოდ არ მივიჩნევ.
— საკმაოდ ბევრი მსოფლიოში საუკეთესოდ გადიარება...
ქალთა შორის მეოთხედფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვეს ვინუს უილიამსმა, ამელი მორესმომ, კიმ კლაისტერსმა და ჯენიფერ კაპრიატიმ. ამ უკანასკნელმა მეცხრამეტედ განთესილი ავსტრალიელის, ბარბარა შტიის ცოცხა დაიღო. ავსტრალიისა და საფრანგეთის ღია პირველობების ჩემპიონ კაპრიატის 10 წელია, აშშ-ს პირველობის მეოთხე წრე არ გადაეკლავა. მიხეზებზე არ შეეჩერდებით. შტი მისი იოლი ლუკმა შეიქნა. ამისთვის კაპრიატს ორი სეტი დასჭირდა — 6:3, 6:3. იგი მეოთხედფინალში მერვედ განთესილ ფრანგ პიტო მორესმოსთან საბრძოლველად ემზადება, მით უმეტეს, რომ რევანში აქვს ასაღებ: მისი გერმანიის ღია პირველობაზე მორესმომს მიერ ფინალში ძლეულ კაპრიატის აღარ სურს ლესბოსელ ფრანგთან მარცხი. არც ეს უკანასკნელი აპირებს რამის დათმობას. „მოვეხსენებათ, მაშინდელი მატჩი უშეღავათობით გამოირჩეოდა. მას შემდეგ მან აღიბათ მოუმატა კიდევ ვიმელონებ, რომ მეც გაგაუმჯობესე თამაშის ხარისხი, თუც მგონია, რომ სხვანაირად წარმართება შეხვედრა. აქ ახლა, გერმანიის ღია პირველობისგან განსხვავებით, სხვა საფარია. თანაც ნუ დაგვაკვიწყდება, რომ იგი მშობლიურ კედლებზეა. მიუხედავად ამისა ვიმელონებ, რომ მატჩი იგივე შედეგით დასრულდება“ — თანამემამულე ნატალი ტოზიას ძლევის შემდეგ (6:0, 6:7 (1:7), 6:3) კაპრიატისთან ბრძოლის მეთოდებს ამუშავებს ამელი მორესმომ.




პიტ სამპრასმა გამარჯვება ემოციურად აღნიშნა

გამარჯვებით კი ერთობ გაიხარა სამპრასმა. დაბაბული პაექრობის შემდეგ ჯიმი კონორსის მსგავსად მუშტებშემართულმა აღნიშნა რაფტერის ძლევა. ამასთანავე, ისეთი ღრიალიც ამოუშვა, კაცი იფიქრებდა, ეს-ესაა ტურნირი მოიგო.

„ურთულესი მატჩი იყო. შეხვედრა ფინალური ორთაბრძოლის საკადრისი გამოდგა, ამიტომაც იგი ემოციურად ისე უნდა აღვიქვათ, თითქოს ფინალი ვინილეთ“ — ამ მხრივ სამპრასი არ ცდება, თუმცა მას არანაკლებ უშეღავათო ბრძოლა აქვს წინ. ეს მატჩი ფინალის დარი იქნება, რამეთუ ბადემ პისტოლს პიტს მოწინააღმდეგედ მისივე თანამემამულე, კიდევ ერთი ორგზის ჩემპიონი, სახელოვანი ანდრე აგასი არგუნა.

„მხოლოდ ხუთი წუთი მაქვს იმი-სთვის, რათა რაფტერთან გამარჯვებით დავტყუებ. მერე კი ანდრესთან შეხვედრად უნდა მოვემზადო. იგი ხომ განუწმინდებლად თამაშობს ჩოგბურთს. მე კი ჩემდათავად ვეცდები, ყველაფე-



ვინუს უილიამსი მეოთხედფინალში გავიდა



გიორგი ბერიძე (ბერძენი)

დაიბადა 1969 წლის 3 იანვარს ბურჯანაშვილებში... ცხოვრობს შვეიცარიაში... სიმაღლე 174 სმ, წონა 74 კგ...

ნითელი ბარონი ფორმულას ატარებს

კვირას სააფრთხილო მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა გიორგი ბერიძემ ფორმულას ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული რეკორდი დაამტკიცა...

შუამხედრი საშუალო ფეხებზე მდებარეობს რბოლის იტალიური მხოლოდ ზუან მანუელ ფანზიოსა და ალბერტო ასკარის აქვთ.

„დიდი გერმანელი“ 52 დიდი პრიზი ქვეყნების მიხედვით ასე ნაწილდება: მონაკო, საფრანგეთი, ბელგია — ხუთ-ხუთი; კანადა, ევროპა — ოთხ-ოთხი; ბრაზილია, იტალია, სან მარინო, უნგრეთი, ესპანეთი, იაპონია — სამ-სამი; ავსტრალია, მალაიზია, წყნარი ოკეანე (იაპონია) — ორ-ორი; დიდი ბრიტანეთი, გერმანია, აშშ პორტუგალია, არგენტინა — თითო.

პროსტი რასაკვირველია ჯერტლმენურად გამოეხატა „წითელი ბარონის“ აგრესიას: „მიხალე უდიდესი მბრძოლი და თავისუფალი შეუძლია ექვსგზის ჩემპიონობის მოპოვებას...“

შუამხედრი კიდევ არაერთხელ გააუმჯობესებს რეკორდებს, რადგან იგი მთელ დედამიწაზე ყველაზე ნიჭიერი მბრძოლია და ამას ეჭვი ოტისოდენადაც არ შეუძლება.

შუამხედრმა ახლა პროსტის მეთერ სუპერგოლი — კარიერაში 798,5 ქულა გაინახა სამიხუნდ. ამ ზღვარის დაძლევა მას სადღესობად სულ რაღაც 17 ქულა აშორებს. მოკლედ, არც ამ მიღწევას უწერია დიდი ხნის სიცოცხლე.

ფორმულა 1-ის ნახევარსაუკუნოვან ისტორიაში სტარტზე გასულ 589 მბრძოლედან მხოლოდ 25-მა მოახერხა ათი და მეტი ეტაპის მოგება. ქვემოთ სწორედ მათ სიას ვთავაზობთ.

Table with 4 columns: Rank, Driver, Wins, Points, %.

ავროპის ჩემპიონატი. მატჩები ერთხელად გასასვლელად

შხაბირო საჯარიმების ბერძენი იხეირა

საბანოთი 7:67 ისრაელი ქაპიტანი ა. რეიცი (16), პარაილი (3), ანგულო (6), როდრიგო (7), ხიმენსი (2), გარბახია (5), ლოპესი (7), ნაგრო (5), გასოლი (13), კორნელი (3)...

ესპანელებმა მეთხუთმეტისა და ექვსეულს და იქ ამბიციამოდებულ რუსეთის ნაკრებს შეეჭვიბიან. ისრაელი კი კონტინენტის უპირველესი გუნდის ტიტულზე ოცნებას გამოემშვიდობა და შინ უსახელოდ გაბრუნდა.

მატჩის საწყისი წუთები დიდი ვერაფერი საცქერი გამოდგა. ორივე გუნდი პოზიციური უპირატესობის მოპოვებას ცდილობდა და მთელი პირველი მეთხუთმეტის ურთიერთდახვეწვაში გაილია. ისე, მეტოქეების სწრაფი ბევრს სცოდავდნენ. მათი სროლები ხშირად სცდებოდა მიზანს. მომდევნო ორი მეთხუთმეტის გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. ხან ისრაელი გადიოდა წინ, ხანაც ესპანეთი. მატჩის გადამწყვეტ ფაზაში პირინელებმა იძალადეს. ესპანელთა დაცვა შეშინდნენ და ებრაელთა ფორვარდებისთვის ძნელად დასადლევი ზღუდედ იქცა. თავად განსაჯეთ — ერთი, შვიდწუთიანი მონაკვეთი ხავერდ იმბროდას შეგირდებმა 11:2 მოუგეს ისრაელს. ებრაელთა ლიდერების — მერ ტაპიროს და პუბო თურჯემანის მცდელობა, როგორც მეტოქეს მიახლოვებოდნენ, ამას გამოდგა. ესპანელები შესამური სიხუსტით პასუხობდნენ გააქტიურებულ მოწინააღმდეგეს და ებრაელებს ახლოსაც არ იკარებდნენ. ალფონსო რეიცი და პუ გასოლი ზედხედავ ათავსებდნენ ბურთს მეტოქის კალათში. საბოლოოდ, იმპასების გასახარად, მათმა ნაკრებმა ოთხქულაანი უპირატესობა საფინალო სირენამდე შეინარჩუნა და პლეი ოფში სულა განაგრძო. „ციკლოდით, რომ ისრაელის ნაკრები ბოლო წამამდე იბრძობებდა. ბედნიერი ვარ, რომ მეთხუთმეტის ბოლოში გაველით. ახლა, როდესაც ძალიან ძლიერი გუნდები — ლიტვა და იტალია გათამაშებას გამოეთიშნენ, ჩემპიონობაზე ფიქრი შეიძლება“ — თქვა შვეიცარიების თამაშით კმაყოფილმა ხავერდ იმბროდამ. „სულაც არ არის ადვილი ესპანეთის ძლევა, მაგრამ მაინც მგონია, რომ ჩვენ ეს შეგვეძლოს. ესპანეთი საუკეთესო გუნდია ჩემპიონატზე მის დასამარცხებლად ყველა შესაძლებლობა უნდა გამოავსებდნენ და რადგან ეს ვერ შევძელით, ესე იგი, არც გამარჯვების ღირსნი ვყოფილვართ“ — ეს უკვე ისრაელის ნაკრების მთავარი მწვრთნელის მული კაცურინის სიტყვებია.

ბერძენი 80:75 საბერძენი

ბერძენი: ტომიჩი (14), ბუმიჩი (14), ოკულო (12), დემიოლი (3), ნოვიცი (25), ფეშერლინი (4), პაპიჩი, გარეტი, გარისი (10), ბრედლი (2)...

საბერძენი: ალგერტისი (10), სიგალასი (23), რენციასი (12), პაპანიკოლაუ, იანოლისი (2), კაქოუსი, კალიძისი, ფოცისი (9), დიკულისი (2), პაპალუკასი (17)...

გერმანელებთან დრამატული, დაძაბული და წაგებული მატჩის შემდეგ ბერძენთა მთავარი მწვრთნელი კოსტას პეტროპულოსი თანამდებობას გამოეთხოვა. ნამატჩევეს მოწინააღმდეგე პრესკონფერენციაზე პეტროპულოსმა თავისი განზრახვა შეატყობინა: „მე აღარ ვიშუშავებ ნაკრებში. გადავწყვიტე გუნდის თავაკაცის პოსტი დატოვო და ცოტა ხანს კალათბურთის ჩამოვშორდებოდი. მაინც ბევრი ვინერვოვლე და საკმაოდ იმედგაცრუებულ ვარ. ამის განალიზებას დრო სჭირდება“.

არადა, ბერძენებმა ისეთი რიხით დაიწყეს მატჩი, კაცი იფიქრებდა, გერმანელების განადგურება გარდაუვალია. პირველი მეთხუთმეტის საწყისი წუთებშივე მოიპოვეს ბერძენებმა უპირატესობა და დაწინაურდნენ — 15:0 (!).



ბერძენი — საბერძენი დიკ ნოვიცი ბერძენ თეოდოროს პაპალუკას გადვლამა

გიორგოს სიგალასმა საქელთან ხაზის გარდანი ოთხიდან ოთხი ტყორცნა ჩაუგდო მეტოქეს „ოლიმპიკოსის“ გამთამაშებელი თეოდოროს პაპალუკასი შვეიცარიად დირიჟირობდა თავისიანებს და სანამ გერმანელები კომპო იყვნენ, ბერძენებმა 16 ქულით მოიგეს პირველი ნახევარი.

დიდმა შესვენებამ სულზე მიუსწრო გერმანელებს. დიკ ნოვიცი და კომპანია ნელ-ნელა გონს მოიგო და ელინელთა დაწინაურებაც დაიწყო. შესვენების შემდეგ კოსტას პეტროპულოსის სამწესო ფინდაკარგულ ფარას დაემსგავსა. ბერძენთა აწყობილი მექანიზმი მოიშალა და შეცდომებამც იმტა. ამის ფონზე აიწყვიტა ნაბ-ს თეორკანინამ ვარსკვლავმა დიკ ნოვიციმ და ამოავსო მეტოქის კალათა. ბერძენების მიერ მოპოვებული უპირატესობა თვალსა და ხედს შუა გაქრა. ამის შემდეგ თამაში ქულა-ქულაზე მიდინდა. გიორგოს სიგალასი და დიკ ნოვიცი ერთმანეთს პასუხს არ უგვიანებდნენ, მაგრამ სიგალასი ნოვიცისთან უკლავ ჭიდილმა მალე დადგა და მის ტყვიამფრქვევს ვანებზე გაუთავდა. სამაგიეროდ, სიგალასი ნოვიცის ტოლსწორად ეპაქრა გაცუდებულ საჯარიმობებში. ნერვების თამაში „რუსულ რულეტკას“ დაემსგავსა. გერმანელთა ვეება ფორვარდი და ბერძენთა უკანა-ხაზული უხერხი სროლაში ევობრებოდნენ ერთმანეთს. მატჩის კვანძი კი მეთხუთმეტის მეთხუთმეტის გაიხსნა. გერმანელთა მცდელობა მარკო პეშინმა და ცენტრმა პატრიკ ფემერლინგმა დაცვაში ისევე კარგად ითამაშეს, როგორც თავდასხმაში. სანამ სიგალასი და ნოვიცი ბურთის კალათაში მოთავსებას „ამუშავებდნენ“, გერმანულმა დუეტმა საკუთარი და ბერძენების ფარი დაიპყრო, რამაც მატჩში გარდატეხა შეიტანა. ახლა უკვე შოკში ჩაგარდნილი ბერძენები ვერაფრით გამოფხიზლდნენ. ვერც კოსტას პეტროპულოსის ალ-

ბულმა წუთშესვენებებში და ფსიქოლოგიურმა შთაბეჭებით უშველა ელინელებს. შეხვედრის დრო უღიმღამოდ ჩქარა იწურებოდა. მარკო პეშინმა და პატრიკ ფემერლინგმა საბოლოოდ გატყნეს ბერძენები და თავიანთ გუნდს გამარჯვება მოუპოვეს.

ამ გამარჯვებით გერმანელები მეთხუთმეტის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორ საფრანგეთს შეუწყვიტდნენ, ხოლო ბერძენები კი კარგა ხანს არ ტოვებდნენ საკალათბურთო დარბაზს. იატაკზე პარქე და ზურგზე გარბხმულები, აცრემლებული თვალებით შესცქეროდნენ ტაბლოს, კოსტას პეტროპულოსს ამ დროს გადვლამა უტრიალდებდა თავში...

საბანოთი 65:75 იტალია სორფატია: კოვანიჩი (4), ტაბაკი (12), მრშინი (14), ვრანკოვიჩი (7), კრსტიჩი, პრკანიჩი (2), გორიჩი (4), მულაოზეროვიჩი (11), სესარი (11), ვუჩინი იტალია: ფუჩა (9), დე პოლი, მენგინი, გალანდა (3), მარკონატო (4), კაიჩი (6), რიგეტი (10), მინი (2), რადელუოჩი, ბაზუ (8), პეტილი (15)

Table with 2 columns: Team, Score.

ევროპის ჩემპიონატი

გადამდგარნი

იტალია

იტალიის ნაკრები ევროპის ჩემპიონისათვის ბრძოლას გამოეთხოვა, რაც მის მთავარ მწვრთნელ ბოგდან ტანიევიჩის გუნდიდან წასვლად დაუჯდა. ხორვატიებთან მარცხის შემდეგ ტანიევიჩმა ნაკრები დატოვა: „ჩემი დრო დამთავრდა. გაოცებული ვარ ნაკრების წევრთა თამაშით. ახლა, როცა ოქროს მედლებისათვის ბრძოლას გამოეთით, იტალიის ნაკრების ერთადერთი მიზანი 2003 ევროპის წლის ჩემპიონატის მოგებაა, რადგან ველარც მსოფლიოს ჩემპიონატზე ვიასპარეზებთ“ — განაცხადა იტალიელთა ყოფილმა მწვრთნელმა.

არადა, ტანიევიჩი ის კაცია, ვის სახელთანაც იტალიელთა ბოლო წლების წარმატებები დაკავშირებული. ტომით ბოსნიელი იმ ნაკრებს თავკაცობდა, რომელიც 1999 წელს კონტინენტზე საუკეთესო იყო. იგი თბილისშიც ნამყოფია. 1999 წლის თებერვალში მისი ხელმძღვანელობით იტალიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრები 105:64 დაამარცხა.

მომავალ სეზონში ბოგდან ტანიევიჩი საფრანგეთის ვიცე-ჩემპიონ „ვილეურბანს“ დამოძღვრავს.

საბჭოთაეთი

ამბიციურ ბერძენებს ევროპის ჩემპიონობაზე ფიქრი ტკბელ მოგონებად დარჩათ. დირკ ნოვიციკი, აი, კაცი, რომელიც იტალიის მწვრთნელ კოსტას პეტროპულუსს თავის საქმეზე ხელი ააღებინა. გერმანელებთან მარცხისთანავე საბერძნეთის ნაკრები უმწვრთნელად დარჩა. „რუსებთან წაგების შემდეგ მე ვფელანაირად ვცდილობდი, ჩვენი კალათბურთელების თავიდან ამომგდო ეს საშინელი მარცხი, მაგრამ არ მოხერხდა. ამას დამატებული ის პრობლემები, რომლებიც გერმანელებთან ფარზე შეგვექმნა და აი, პასუხი, თუ რატომ ვეღარ აგრძელებს საბერძნეთის ნაკრები ოქროს მედლებისთვის ბრძოლას“ — ეს პეტროპულუსის სიტყვებია. თქვა მან ეს და ნაკრები დატოვა.



ხორვატია — იტალია. იმ მიტჩში ბოგდან ტანიევიჩმა ბოლოჯერ უთავგადა იტალიის ნაკრებს

სლოვენია

სლოვენის ნაკრებმა, რომელმაც ევროპის ჩემპიონატზე თავის ქვეჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავა, სანამ თურქეთს დატოვებდა, პრესკონფერენცია გამართა. „ჩვენ გულით გვსურდა ლატვიელთა დამარცხება, მაგრამ ბოლო წუთებზე საშინლად ვითამაშეთ. ვფიქრობ, ჩვენი ნაკრები ამ მატჩს არასწორი ფსიქოლოგიით მიუდგა. ჩავთვალებდა და ამის გამო ლატვიელებთან სათამაშოდ მოედანზე დაარბენებულნი ვავალიდით. ჩემი მითითებით არავინ შეასრულა და საკადრისი შედეგიც მივიღეთ“ — განაცხადა სლოვენელთა მთავარმა მწვრთნელმა ბორის ზრინსკიმ, რომელსაც კონტრაქტი გუნდთან 31 აგვისტომდე აკავშირებდა. მანვე აღნიშნა, რომ სლოვენის კალათბურთის ფედერაციასთან კონტრაქტის გაგრძელებაზე არ უსაუბრია და აღარც ამბობს თავისი საქმიანობის გაგრძელებას. მას მიაჩნია, რომ ნაკრებში უცხოელი მწვრთნელი უნდა მივიღეს.

სლოვენელთა ნაკრების ლიდერმა

მარკო მილიჩმა თავისი გუნდის წარუმატებლობით გაოცება ვერ დამალა და სასოწარკვეთილი ხმით განაცხადა: „ჩვენი ნაკრები უადრესად პერსპექტიული, თუმცა გამოუცდელი გუნდია. თუ ზრინსკი გუნდის ტაქტიკური წარუმატებლობაზე პასუხისმგებელი, მე ნაკრების წევრთა სახელით პასუხისმგებლობას იმ ინსტრუქციის ზედმიწევნით შეუსრულებლობაზე ვკისრულობ, რომელიც მისგან მივიღეთ. ერთი რამ ცხადია, ეს ფიასკო მარტო ნაკრების ბრალი არაა. ჩვენმა კალათბურთის ფედერაციამ მეტი უნდა გააკეთოს ეროვნულ გუნდისთვის. ჩვენ პრაქტიკულად მარტონი წამოვედით თურქეთში. ფედერაციის წარმომადგენლებიდან მხოლოდ ტექნიკური დირექტორი გამოგვაყოფილეს და მწვრთნელი ყველაფერს მარტო აკეთებდა“ — მილიჩმა სლოვენის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი დუშან შუმიციკ მკაცრად გააკრიტიკა, რომელმაც ერთხელაც არ მიიხსენია თავისი გუნდი ანკარაში.

ირაკლი ბებიაძე


გრძსხვენიოდეს, კოლუჩი!

თურქეთი — მსახვენი მატჩს ესპანური პრესა თავისებურად გამოეხმაურა. როგორც უკვე იცით, ამ შეხვედრის დროს ორი ტექნიკური ჯარიმის შემდეგ ესპანელთა მწვრთნელი ხავერ იმეროლა კუთვნილი ადგილიდან მიამბრანეს. იგი არაობიექტური მსაჯობით აღმფთვებული იყო. ესპანელები დარწმუნებულნი არიან, რომ მსაჯებს ადგილობრივი გულშემატყვიერებისა შეეშინდათ. ეს მატჩი თურქებს რომ წაეგოთ, პირველ ადგილს ვეღარ დაიკავებდნენ. ამიტომაც გახეთ „მარკას“ ვერსიით, ესპანელთა მარცხი

იტალიელი არბიტრის ჯენარო კოლუჩის ბრალია. იგივე გახეთი ამტიკცებს, კოლუჩიმ შვიდი წუთის განმავლობაში მასპინძელთა სასარგებლოდ ხუთი ისეთი გადაწყვეტილება მიიღო, რომ თავისი საქციელის უნდა რცხვენოდესო. „იტალიელის მაკრძობებულმა საქციელმა საბოლოო შედეგზე უშუალო გავლენა იქონია, რამაც ესპანელებს მეოთხედიანი დამარცხება მიმავალი გზა გაუგრძელა“ — თვლიან პირინელი ჟურნალისტები.

გაზა ხუციშვილი

ბასტმესს სორპატსა მამბარსა?



აილინ ორსისთვის შიში უცხოა

კალათაშვილის თამაში რომ ჩაის სმაზე გაცილებით იწვლია, თურქებმა შესანიშნავად იცინა, მით უმეტეს, იტალიელთა წამქცევ ხორვატიებთან და თანაც მეოთხედინალში. ქართული ბაზრის უხარისხო საქონლით მომარაგებულნი იმ ხალხის კატეგორიას არ განეკუთვნებიან, ვინც ბრძოლას თამაშად აგებს. ალბათ ამიტომაც დღევანდელი მატჩის წინ ისინი ომანთან აცხადებენ, რომ არავისი და არაფრის ეშინათ. „თუ ჩვენ ისეთი ძლიერი გუნდის, როგორც ესპანეთია, დამარცხება მოვახერხეთ, რატომ უნდა გვეშინოდეს ხორვატიებს?“ — ამბობს თურქთა დამრიგებელ აილინ ორსი, რომლის გვარიც ქართულად გრდემლს ნიშნავს.

1949 წელს ქაიროში ჩატარებული ევროპის ჩემპიონატის შემდეგ თურქებს პირველად ეძლევათ ნახევარფინალში მოხვედრის შანსი და ისინი ამის ხელიდან გაშვებას არ აპირებენ. უფრო მეტიც, თუ ევრობასკეტ-2001-ის მასპინძლები ხორვატთა ბარიერს გადალახავენ, მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს ჩაიჯობავენ. ასე რომ, მალე თურქული ქაბაბის ჭამაში მოსულა და აილინ ორსის შევირდებს თვალი ფინალისკენაც კი უჭირავთ. მეოთხედინალში მათ გუნდის კაპიტანი ორპუნ ენე გამოაკლდება, რომელმაც ესპანელებთან შეხვედრაში ტრავმა მიიღო. იგი ძალიან წუხს, რომ ასეთ მნიშვნელოვან მატჩში თანაგუნდელებს ვერ დაეხმარება. ნაკრების გენერალური მენეჯერი დოღან ჰაქიემეზი იხტიბარს არ იტყვის. თუ ნახევარფინალში ვაკევერით, ეს კაცი როგორ მდგომარეობაშიც არ უნდა იყოს, ითამაშებს, ისე კი ჩვენ ბრძოლა თერთმეტი კაცითაც შეგვიძლია — ბობოქრობს მენეჯერი.

გაზა ხუციშვილი

სტატისტიკა პირველი ეტაპის შედეგად

მოთამაშე	ქვეყანა	წულა	პუნტი	პროცენტუა
დირკ ნოვიციკი	გერმანია	4	104	26,0
იბრაჰიმ ქუთლუაი	თურქეთი	3	74	24,7
ანდრეი კირილენკო	რუსეთი	3	65	21,7
პრედრაგ სტოიაკოვიჩი	იუგოსლავია	3	64	21,3
აინარს ბაგატსკისი	ლატვია	4	75	18,8
მარტინ მიუურსეპი	ესტონეთი	3	55	18,3
სერგეი ჩიკალკინი	რუსეთი	3	55	18,3
კასპარს კამბალა	ლატვია	4	67	16,8
ფრაგისკოს ალვერტისი	საბერძნეთი	4	64	16,0
ალექსანდრ ოკუნსკი	უკრაინა	3	48	16,0

მოსხნა საკუთარ ფარზე

პაუ გასოლი	ესპანეთი	4	33	8,3
კასპარს კამბალა	ლატვია	4	30	7,5
ალექსანდრ ოკუნსკი	უკრაინა	3	20	6,7
ჰუსეინ ბეშოქი	თურქეთი	3	19	6,3
რადოსლავ ნესტეროვიჩი	სლოვენია	3	18	6,0
კროუფორდ პალმერი	საფრანგეთი	3	18	6,0
გრეგორ ფურკა	იტალია	4	23	5,8
იანივ გრინი	ისრაელი	4	23	5,8
დირკ ნოვიციკი	გერმანია	4	23	5,8
ემილიო კოვაჩიჩი	ხორვატია	4	22	5,5

მოსხნა მეტოქის ფარზე

მირსარდ თურქჯანი	თურქეთი	3	11	3,7
ადემოლა ოკულაია	გერმანია	4	14	3,5
ანდრეი კირილენკო	რუსეთი	3	10	3,3
ალფონსო რეიესი	ესპანეთი	4	12	3,0
ემილიო კოვაჩიჩი	ხორვატია	4	12	3,0
რადოსლავ ნესტეროვიჩი	სლოვენია	3	9	3,0
ჰუსეინ ბეშოქი	თურქეთი	3	9	3,0
რობერტო კიაჩიგი	იტალია	4	11	2,8
სამირ ლერიჩი	ბოსნია	3	8	2,7
სტეფან არიგაბაზუ	გერმანია	4	10	2,5

პასი

რაიმონდს მიგლინიეკსი	ლატვია	4	31	7,8
ლორან სკიარა	საფრანგეთი	3	19	6,3
ევგენი პაშუტინი	რუსეთი	3	16	5,3
თეოდოროს პაპალუკასი	საბერძნეთი	4	20	5,0
შარუნას იასიკევიჩუსი	ლიტვა	4	19	4,8
ანდრეა მენეგინი	იტალია	4	19	4,8
ხუან კარლოს ნავარო	ესპანეთი	4	16	4,0
მარკო იარიჩი	იუგოსლავია	3	12	4,0
სანი ბეჩიროვიჩი	სლოვენია	3	12	4,0
სერგეი პანოვი	რუსეთი	3	12	4,0

ჩაჭრა

ლიორ ლუბინი	ისრაელი	4	15	3,7
რამუნას შიშკაუსკასი	ლიტვა	4	14	3,5
ევგენი პაშუტინი	რუსეთი	3	9	3,0
ანდრეი კირილენკო	რუსეთი	3	9	3,0
ტიანელ ტეინი	ესტონეთი	3	8	2,7
მარკო იარიჩი	იუგოსლავია	3	7	2,3
ჯანლუკა ბაზილე	იტალია	4	9	2,3
იბრაჰიმ ქუთლუაი	თურქეთი	3	6	2,0
ზაზარ პაშუტინი	რუსეთი	3	6	2,0
ადემოლა ოკულაია	გერმანია	4	8	2,0


აზოტი სამჯარ დამარცხებელმა რაიბარა

29 აპრილი, ვერის ბაღი, „აზოტი“ — „სტუ-ჯეოსელის“ ნახევარფინალური სერიის მესამე, გადამწყვეტი მატჩი. ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი თამაშს 6 ქულით იგებს, თამაშის დამთავრებამდე წაბოლავა დარჩენილი მსაჯის სასტყენი, მორიგი ვარიანტი სტუდენტების სასარგებლოდ და აზოტიელების აფეთქება...

ამ აფეთქებას ორივე დღეში კალათბურთის ფედერაციის სადისციპლინო და აღმასრულებელი კომიტეტების მხრიდან რუსთაველთა მთავარი მწვრთნელის, ოთარ ხმელიძის კალათბურთიდან ორი წლით მოკვეთა მოჰყვა. ფედერაციის ვერდიქტით, ამდენივე ხნით ვერ ითამაშებს ირაკლი ჯაფარიძე, ხოლო ლევან ჩაჩუას და არჩილ აბზიანიძეს ეროვნულ ჩემპიონატში ასპარეზობა თითო-თითო წლით აკრძალა. რამაზ გოგობერიშვილი და მამუკა ტურაშვილი თავიანთ გუნდს მეთვრამეტე ჩემპიონატის საწყის ხუთ შეხვედრაში ვერ დაეხმარებიან. მიხეილ ბერუაშვილის საქმე კი სადისციპლინო კომიტეტს ჯერ კიდევ განსახილველი აქვს.

ეს რომ შეიტყვეს, ქართულ კალათბურთში ჩახედულმა ხალხმა ბრძანა, „აზოტი“ დაიშლებოდ. ისიც ითქვა, ჩემპიონატში იასპარეზებს, მაგრამ ჩვეულებრივი, უამბიციო გუნდი იქნება... შუაგულ ზაფხულში საქმეს ისეთი პირი უჩანდა, თითქოს ხეობი გამოთქმულ ვარაუდებს ახდენდა ეწერა. ხმები დაირხა კახა შენგელია და არჩილ ფლენტი სათამაშოდ საზღვარგარეთ მიდიანო, ხოლო ზვიად ბაბიაშვილის სტუ-ელად გახდომა, დღეების საქმე იყო. მაგრამ ყველა ეს მოთამაშე „აზოტიშივე“ დარჩა და გუნდი მომავალ სეზონშიაც შეიცვლება, ბოლო ოთხი წლის აუხდენელ ოცნებას ხორცი შეასხას. ეს რომ რეალობა და „აზოტის“ გუნდის ხელმძღვანელობა ფედერაციის ვერდიქტმა ვერ გატეხა, ორივე დღის წინ მომხდარიდანაც კარგად ჩანს. „აზოტს“ ახალი მწვრთნელი ჰყავს — საქართველოს ნაკრების აწ უკვე ყოფილი დამრიგებელი, „ბასკოსა“ და „ვიოთას“ თავკაცობისას რუსთაველების ფინალში სამჯერ დამარცხებული ზურაბ ტომარაძე.

შარშანდელი სეზონის ბოლოს ზურაბ ტომარაძეს ბათუმურ კლუბთან კონტრაქტი დაუშთავრდა და გუნდის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, გუნდი მის მაგივრად უცხოელისთვის, „ბასკოში“ ადრე კონსულტანტად მომუშავე რუსი პაველ გოლოვსაივის ჩაება. გავრცელდა ხმები, უკლებლოდ დარჩენილი ნაკრების მწვრთნელი სამუშაოდ უცხოურ კლუბში მიდისო, მაგრამ, როგორც ხედავთ, ზურაბ ტომარაძე მრავალსანქციადადებულ გუნდს უდგას სათავეში. „იყო საზღვარგარეთულ კლუბში წასვლის ვარიანტი, მაგრამ გადაწყვიტეს, რომ ამ ეტაპზე საქართველოში დავრჩეთ. არსებობს ენის ბარიერი და კიდევ მრავალი ფაქტორი, რომლებიც ჩემს უცხოეთში გამგზავრებას ხელს უშლის. ამიტომ ეს მომავლის პერსპექტივად დავისახე“ — გვიოხრა „აზოტის“ ახლადანიშნულმა მწვრთნელმა. რუსთავეის კლუბი მომავალი სეზონისათვის საწვრთნელ



ზურაბ ტომარაძე

შეკრებას ურეკში მოაწვიოს, სადაც გუნდი ორივე დღეში გაემგზავრება და ფიზიკური მომზადების ციკლს გაივლის. ურეკშივე ჩამოვალბდება პროგრამა, რომელსაც ახალი მწვრთნელი გუნდის ხელმძღვანელობას წარუდგენს. „შეკრებაზე გამოიკვეთება ბირთვი, რომელსაც მომავალ სეზონში დავუვრდნობთ. დიდი შანსია იმისა, რომ „აზოტს“ ახალი კალათბურთელები დაემატონ. ეს მას შემდეგ მოხდება, როცა საბოლოოდ გაგარკვევთ რომელ რგოლში მოიკოტლებს გუნდი. „ბასკოს“, „სტუ-ჯეოსელის“, ოსუს-ს შემადგენლობები ასე თუ ისე ცნობილია, ჩვენს შემადგენლობასაც უახლოეს მომავალში დავადგენთ — ზურაბ ტომარაძეს ფედერაციის გულისხმიერების იმედოვ აქვს — ჯაფარიძე, ჩაჩუა, აბზიანიძე — მე არ ვიცი, რომ ამ კალათბურთელებმა დაუმსახურებლად მიიღეს დისკვალიფიკაცია. ისინი ამას იმსახურებდნენ, თუმც კალათბურთის ფედერაციამ მათ სასჯელი რომ შეუმციროს ანაც მოუხსნას, ამაში დანაშაულს ვერ ვხედავ. ეს მოთამაშეები ახლა ჩვენს გუნდს პატივით სჭირდება“.

მას ასე, „აზოტი“ „აზოტადვე“ დარჩა და როგორც ახალბოსული მწვრთნელი აცხადებს, მეთვრამეტე ეროვნულში მისი გუნდის მიზანი მხოლოდ და მხოლოდ ჩემპიონობა იქნება.

ირაკლი აბრბაია

შარბაძე მოსკოვში მოსკოვი დაასახელეს

რუსული გაზეთის „არგუმენტი ი ფაქტი“ პრესცენტრმა ამ დღეებში შემდეგი საბატიო სტუმრები მიიღო: ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის (ფიდეს) მოქმედი და საბატიო პრეზიდენტები, კირსან ილუმენიოვი და ფლორენსიო კამპომინენსი, ფიდეს აღმასრულებელი დირექტორი ემანუელ იშუკუ და რუსეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი სელივანოვი. მათ ბლომად ჟურნალისტებთან გამოაცხადეს, რომ ფიდეს მორიგი მსოფლიოს ჩემპიონატი ჩატარდება მოსკოვში, 2001 და მომდევნო წლების გასაყარზე გეგმის თანახმად, ქალთა სრული ჩემპიონატი და ვაჟთა ნახევარფინალის ჩათვლით 24 ნოემბრიდან 11 დეკემბრამდე უნდა შედგეს, ხოლო ძლიერი სქესის ფინალი ახალი წლის შემდეგ, 3-13 იანვარს შედგება და 8 პარტიას მოიცავს.



ფიდეს ძველი და ახალი შეფები: ფლორენსიო კამპომინენსი და კირსან ილუმენიოვი

ამ ნაბიჯით ფიდემ ერთგვარი პატივი სცა ადრე არსებულ სისტემას. ფიდეს წინა ჩემპიონატის ფინალში 6 პარტია გათამაშდა, ამჯერად ორივე მეტი იქნება და მატჩს უფრო მეტად დაემგვანება, თუმცა „ნოკაუტ-სისტემის“ პრინციპი კვლავ ძალაში რჩება, მოჭადრაკეებს მეტად მკაცრი და მოულოდნელობებით სავსე გზის გავლა მოუწევთ.

მოსკოვის მასპინძლად დასახელებას წინ ხანგრძლივი წიაღსვლები უძლოდა, რამდენიმე ადრეული კანდიდატურა ჩაჯარდა და მხოლოდ რუსთა მთავარ ქალაქში მოიძებნა ადგილი გვარიანად შერყეული ფიდეს პირველობისთვის. იქვე იმ დროს ფართო საჭა-

დრაკო ამბები იქნება. ადრე გაცნობით, რომ 90 წელი შეუსრულდა მიხაილ ბოტვინიკს, რომლის შემორჩალობაც წლეულს სუპერშემადგენლობა ითამაშებს: ანატოლი კარპოვი, გარი კასპაროვი და ვლადიმირ კრამნიკი 4 წრეს გაივლიან.

დავით გულუა

ხუთი წელიწადი ჩინეთში ჩინეთში ყინული ღრუბელი

პეკინში ოლიმპიადის გამართვის მომხრეები თურმე არ ცდებოდნენ, როდესაც აცხადებდნენ ჩინეთისთვის მხარდაჭერა მათ მსოფლიოსთან ინტეგრაციას დააჩქარებდა. ყოველ შემთხვევაში, ჩინელთა ბოლოდროინდელი გასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს.

პეკინის ოლიმპიადის მასპინძლებმა 2008 წელს საკუთარი თავი უკეთ რომ წარმოაჩინონ, გადაწყვიტეს, უცხოელი მწვრთნელები დაიქირაონ, გაზარდონ ამა თუ იმ გუნდის დაფინანსება და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, თანამემამულე სპორტსმენები უცხოეთში სავარჯიშოდ მიაგნონ.

მოგეხსენებათ, ოლიმპიადებზე მედლების მოხვეჭის მხრივ ლომის წილი მძლიოსნობასა და ცურვაზე მოდის. ახლანდელ დარღულებულ მსოფლიოს უნივერსიტეტში ჩინეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა ლი ფურონგმა ფურადლება სპორტის ამ სახეობებზე იმდენად გაამახვილა, რომ სწორედ ეს უკანასკნელნი განაპირობებენ არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში ქვეყანათა მონაგარს.

„2004 და 2008 წლების ოლიმპიადებზე უკეთესი შედეგების მისაღწევად ამ ორი სახეობის მეშვეობით ცვლილებები უნდა განვახორციელოთ“ — განაცხადა ლი.

მიუხედავად იმისა, რომ სპორტში ჩინეთი ერთ-ერთი მოწინავეა, დღემდე დიდი ინტერესი არ გამოუჩენია ათლეტების უცხოეთში ვაგზავნით, თუმც ამ მხრივ გარკვეული წინსვლა შეიმჩნევა. მაგდის ჩოგბურთის ნაკრების სათადარიგო შემადგენლობის ერთ ნაწილს უცხოეთში თამაშის უფლება მი-

სცეს, რამდენიმე ფეხბურთელს კი ევროპაში ასპარეზობის ნება დართეს, ხოლო გამოჩენილი მოცურავეები აშშ-შიც კი ვარჯიშობენ, თუმც დიდი დავიდარაბა და ხანგრძლივი მოლაპარაკებები დასჭირდა ნა-ში პირველი ჩინელი კალათბურთელის, ვანგ ჟაიის გადასვლას. მისგან განსხვავებით, წლეუანდელ ნა-ს დრაფტში მოხვედრის უფლება არ მისცეს სხვა მაღალი კლასის კალათბურთელებს.

ლის თქმით, უცხოელი მწვრთნელების დაქირავება და უცხოეთში სპორტსმენთა სავარჯიშოდ გაშვება ღონის ასამაღლებლად მიმართული აუცილებელი პოლიტიკაა.

ჩვენ მტკიცედ ვგაქვს განზრახული ამის გაკეთება. ამ მხრივ რამდენიმე მწვრთნელიც ავიყვანეთ. მათ შორისაა ფეხბურთელთა ნაკრების ახლანდელი თავკაცი — განაცხადა ლი, თუმც არ დაუკონკრეტებია სპორტის მაღალჩინოსნები რას ითვალისწინებენ მათი შერეკასას, მაგრამ ერთი რამ მინც ნათელია — ჩინეთისთვის, რომელიც შინაურ კვლევებში 2008 წლის ოლიმპიადის უმასპინძლებს, წული პრობლემას არ წარმოადგენს.

სხვათა შორის, წინ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს ამერიკელთა და ჩინელთა გაცვლის პროგრამა. აშშ-ს ეოკ-ის პრეზიდენტ სანდრა ბოლდუინის თქმით, ჩინელ კოლეგასთან შეხვედრისას გადაწყდა, 2008 წლამდე სპორტში გაცვლითი პროგრამები განახორციელონ. მისი აზრით, ეს ორივე ქვეყნის სპორტს ხელს შეუწყობს.

გიგა გურასაშვილი

ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში
ფიხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001 (160 / 50 თეთრი)

ფირმების რეპრეზენტაცია
ოფორმული კომპანიები
რუსეთის ვიზები
მისამართი:
„პირიფა“ მეორე სართული
ბალეფონი: 93-52-34, 877 42-20-59

ვანოლის ქველი
გაზეთი
სარბიელი
თავის ფასში
ბალეფონით!
ზიკუნე პიხანით 1 თვით, 2 თვით, 3 თვით, 6 თვით, 12 თვით.
98-89-09, 26-10-80, (899) 55-30-97
ფოსტის ყუთები და
დამონტაჟება უფასო!
„პრეს-მოგზილი“

აქვსი და ფაქტო

ოქროს სერიაში პეუზიდე პეტაბი

41 ათასმა კაცმა უცქირა ზაფხულის ბოლო დღეს ბერლინის ოლიმპიურ სტადიონზე შემდგარ „ოქროს ლიგის“ მეშვიდე ანუ ბოლო ეტაპს. რჩება კიდევ მელბურნში გასამართი მძლეოსნობის ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაციის (იააფ) „გრან პრის“ ფინალი, მაგრამ ეს უფრო შოუ იქნება, ვიდრე სპორტული შეჯიბრი, რადგან „ოქროს ლიგის“ 50-კილოან ოქროსავე ჯეკპოტთან მხოლოდ ფორმალური კავშირი აქვს. ვეულისხმობთ იმას, რომ ოქროს ზოდების მოწოდება რაოდენობა და ვინაობა, ფაქტობრივად, ლიგის ეტაპებზე გაირკვა. ლაურეატებს მელბურნში მხოლოდ გამოსვლა (არა გამარჯვება) მართებთ და ამ შემთხვევაში კეთილშობილი მეტალის ნაჭრებს ადვილზე მიიღებენ. რა უნდა მელბურნში ჩასვლას?..

ისინი ექვსნი არიან, ესე იგი, მეთასვლის სიზუსტით თითო 8 კილო და 333 გრამი ოქრო ვეუთენის რუმინელ ვიოლეტა სეკელის გვარს ბოლო ხანებში რატომღაც „ბეკლიას“ აღარ ურთავენ, ქმარს გამოირდა თუ რა არის, მაგრამ ეს ქალბატონი თანასწორთა შორის პირველად უნდა ჩაითვალოს — მან ლიგის შვიდვე ეტაპი მოიგო. სამი წლის წინანდელი წესით, მიუღი ვეკპოტი მარტო მას უნდა რეგულარულად ეკვივალენტურად ითვლებოდა.

ბერლინის 1500 მეტრზე სეკელიმ მხოლოდ ბოლო მოსახვევში დასძლია პორტუგალიელი კარლა საკრამენტოსა და რუსი ნატალია გორელოვას კონკურენცია, პირველს საბოლოოდ ფინშიმდე 60 მეტრით ადრე გაუსწრო.

უნდა ითქვას, რომ ვეკპოტის სხვა ხუთი მძლეობილიც მორბენალი გახლავთ: 2 სტაიერი (3 იმამ ელ გურუჯი და ოლეა ეგოროვა), მოსაშუალოე (ანდრე ბუზერი), მოთარჯუნე (ალენ ჯონსონი) და სპრინტერი (მარიონ ჯონსონი). ვეკპოტს ვერ თუ არ შესწავნენ ლიტველი მეზადროე ვირგილიუს ბლეკა, ვისაც ლიგის საწყისი ეტაპების შემდეგ საჩინო შანსები ჰქონდა, ან მორის გრინი, რომელიც, ალბათ, ოქროს კილოგრამების ოდენობამ დიდად ვერ მოხიბლა. ავსტრალიაშივეა სპრინტის დედოფალი მარიონ ჯონსონი, ოლინპ იმას ბერლინამდე ეტაპებზე უკვე დაუგროვებია 5 გამარჯვება და თავის წილ ოქროს ზოდებს მიიღებს.

საერთოდ, 100 მეტრის თვალსაზრისით ბერლინში უმაღლესი ქვეყანა იყო და კატები ყველგან. არ ურბენიათ მორის გრინს, ტიმ მონტგომერის, ატო ბილდონის, მარიონ ჯონსონს, უნა პინტუსევიჩი-ბლოკს, ჩანდრა სტარასს, არც სხვა განთქმულ ამერიკელ და ბრიტანულ სპრინტერებს. ამ ვითარებით აფრიკელებმა ისარგებლეს ვაჟთაგან ახალგაზრდა, აწიწილმა ნიგერიელმა ფრენსის ობიკველუმ გაიმარჯვა, მეორე განვლი აბდულ აზიზ ზაკარი იყო (ის მარადმწვანე პრიზიორია) და მესამე — კვლავ ნიგერიელი. ქალთა სპრინტის პოლიუმის წევრი



ალენ ჯონსონმა ოქროს ლიგა მოიგო და ანდრე გარსიასთან ოლიმპიური მარცხსთავისაც ჭაჭირი იყრა

კამერუნელმა მირიამ ლეონი მანამ დაიპყრო. სამაგიეროდ, საშუალო და გრძელ დისტანციებზე დიდი სახელები ჭარბობდნენ. ქალთა 5000 მეტრზე გაილადა ოლეა ეგოროვა, რომელსაც დოპინგის მიღებას აღარ აბრალებენ და თუ მართლა უმანკოა, ბარაქუა მის ენერჯისა.

აი, რბენის ქრონიკა: 3000 მეტრამდე ჯგუფი დელალმა „კურდღლებმა“, რუსმა ოლეა კომიანიამ და კენიელმა ედიტ მასაიმ მიიყვანეს, შემდეგ კი დაწინაურდნენ ბრიტანელი პოლა რედკლიფი და ეთიოპიელი გეტე ვამი, ერთმანეთის დაუძინებელი მტრები და რედკლიფი კი ეგოროვასიც — ედმონტონში რუსის სადოპინგე სკანდალისას ბრიტანელი მას მკაცრად აკრიტიკებდა.


თვითონ ეგოროვა ამ დროს ღრმა ზურგში იყო. როცა გასავეთებულმა მასაიმ რედკლიფი და ვამი წინ გაუშვა, ეგოროვა 25 მეტრით ჩამორჩებოდა, მერე კი აიწვიტა და ფინშივე ეგროპის რეკორდით გადაიდა, ორივეზე გვარანად წინ. ძალიანაც რომ არ უნდოდეს, კაცი დოპინგს იფიქრებს, როგორ შეიძლება ნორმალურის ასე სირბილი? მაგრამ ვინმეს ვანსჯა ჩვენი საქმე სწორედ რომ არ არის, ჩვენ უნდა დავასახელოთ ფაქტები, მაგალითად, ასეთი: ჰიშამ ელ გურუჯმა ბერლინში იშვიათი 2000 მეტრი ირბინა, თავისივე რეკორდი ვერ მოხსნა, მაგრამ ყველას გაუსწრო და ვეკპოტის ლაურეატებში გაერა.

მაროკელი დაღლილი ჩანდა. 800 მეტრის შემდეგ მისი ტემპი დიდად ჩამორჩებოდა სასურველს და რეკორდთან გარდევამ 7 წამამდე შეადგინა. ამას ელ გურუჯის ამაყი მონოლოგი-სთვის ხელი არ შეუშლია.


„ბრიუსელის ეტაპის შემდეგ ძალების სრულად აღდგენა ვერ მოვახერხე და თან ციოდა — თქვა არაბმა — ამის მიუხედავად, გამარჯვებამ სიამაყით ამავეს არა ოქროს გამო, არამედ იმიტომ, რომ დავამტკიცე — მე ჯერაც ჰიშამ ელ გურუჯი ვარ და შემიძლია მოვიგო ყველგან, სადაც ვირბენ“.

მაყურებელმა ოლეა გაუპარტა მაროკელს, როგორც ადრე ეგოროვას, რომელსაც ედმონტონში სტვენის გარდა, სხვაგან პატვისციმით ხვდებიან და ისიც იფერებს, ხალხმა ზომ იცის, რომ სუფთა ვარო. კიდევ ალენ ჯონსონს ერთი აპლოდისმენტები, რადგან ოქროს ზოდები იმანაც დაიმსხურა. ჯონსონმა სასუსხისმებელი 10-მეტრიანი თარჯნები შეასრულა აქვრადაც ეცილებოდა პრინციპული მეტოქე კუბელი ოლიმპიური ჩემპიონი ანდრე გარსია, ოლინპ ბერლინში გაურკვევლობა ნაკლები იყო, ჯონსონის უპირატესობა — ამჟამა ამერიკელს ტრადიციულად ეხერხება თარჯნებზე ხაზნი, რაც მისი მთავარი ნაკვალაა ჯონსონმა დასძლია ეს მძრუსი, 10-დან მხოლოდ 3 თარჯს შეეხი და რადგან სიჩქარე არ დაეწუნება, გარსიას სოლიდური 0,11 წამით გაუსწრო.

დავით გულუა



ბერლინში ალენ ჯონსონიც იყო ის კარიერის ასრულებს და ბუკებს არიებებს



ანდრე ბუზერი ოქროს ლიგის ლაურეატი გახდა

- 3000 მეტრი**
- 1000 მ: 1. ფრენსის ობიკველი (ნიგერია) 9:38,2; აბდულ აზიზ ზაკარი (განა) 10:05; 3. უნა პინტუსევიჩი (ნიგერია) 10:11.
 - 800 მ: 1. ანდრე ბუზერი (სლოვაკია) 1:43,82; 2. უალფრედ ბუნგე (ვენია) 1:44,01; 3. უილიამ იამპოი (ვენია) 1:44,06.
 - 2000 მ: 1. ჰიშამ ელ გურუჯი (მაროკო) 4:51,17; 2. დროს მიაზუზი (საფრანგეთი) 4:55,55; 3. ენოე კოეტი (ვენია) 4:55,92.
 - 3000 მ: 1. პოლ ბიტოვი (ვენია) 7:44,33; 2. მარკ ბეტი (ვენია) 7:44,62; 3. პაილუ მგორნი (ეთიოპია) 7:44,86.
 - 3000 მ. სტიპლინგი: 1. სტივენ ჩეროლი (ვენია) 8:09,57; 2. მიგელ ლუის მარტინი (ესპანეთი) 8:12,32; 3. ჯულოუს ნიამუ (ვენია) 8:12,43.
 - 110 მ. თარჯნები: 1. ალენ ჯონსონი (აშშ) 13,04; 2. ანდრე გარსია (კუბა) 13,15; 3. დომინიკ არნოლდი (აშშ) 13,21.
 - სიგრძეზე ხტომა: 1. ივან ბედროსი (კუბა) 8,16; 2. ფრანკ ზუზანი (გერმანია) 8,04; 3. კვენ დილორთი (აშშ) 7,96.
 - ბადრო: 1. ლარს რიდეილი (გერმანია) 65,86; 2. ვასილი კაბტაიუნი (ბელარუსი) 64,53; 3. მისაელ მოლენბეტი (გერმანია) 64,14.
 - შუბი: 1. იან ფელენბი (ჩეხეთი) 88,29; 2. ბორის ბენრი (გერმანია) 85,46; 3. ბიორნ ლანგე (გერმანია) 81,58.
- ძალეები**
- 100 მ: 1. ლეონი მირიამ მანი (კამერუნი) 11,13; 2. მერსი ნუ (ნიგერია) 11,16; 3. კელი უაიტი (აშშ) 11,25.
 - 400 მ: 1. გრიტ ბროიერი (გერმანია) 50,78; 2. სოუზენ რიდი (აშშ) 51,66; 3. კლაუდია მარსი (გერმანია) 52,26.
 - 800 მ: 1. მირია მუტოლა (მოზამბიკი) 1:59,19; 2. დიან კამინსა (კანადა) 1:59,40; 3. შტეფანი გრაფი (ავსტრია) 1:59,42.
 - 1500 მ: 1. ვიოლეტა ბეკლია-სეკელი (რუმინეთი) 4:00,80; 2. კარლა საკრამენტო (პორტუგალია) 4:01,31; 3. ნატალია გორელოვა (რუსეთი) 4:01,55.
 - 5000 მ: 1. ოლეა ეგოროვა (რუსეთი) 14:29,32; 2. გეტე ვამი (ეთიოპია) 14:31,69; 3. პოლა რედკლიფი (დეი ბრიტანეთი) 14:32,44.
 - 400 მ. თარჯნები: 1. ოლეა ნოსოვა (რუსეთი) 54,62; 2. ტატიანა ანტიპოვა (ტურქმენეთი) 54,64; 3. დომინიკ ბენრი (კუბა) 54,98.
 - სიმაღლეზე ხტომა: 1. კისა ბერგვეისტი (შვედეთი) 1,96; 2. ემი ეკუფი (აშშ) 1,93; 3. მონიკა იაგარ-იონესკუ (რუმინეთი) 1,90.
 - ქოჯა: 1. სეტლანა ფილიპოვა (რუსეთი) 4,56; 2. ელენა ისინბაევა (რუსეთი) 4,46; 3. ივან ბუზაუმი (გერმანია) 4,46.

იააფ-ის გრან პრი 2

უპარსკვლავო დღე ლასიოში

მთიანი ლაციის (იტალიის ოლეჯია) პატარა ქალაქი რეტიმ წლეგანდლო სამძლეოსნი სეზონი თითქმის დასურა. „ოქროს ლიგა“ ზაფხულიან ერთად გაკვეთა ისტორიას, „გრან პრის“ ეტაპები უფრო ადრე მორჩა და რიეტის ტურნირიც მძლეოსნობის ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაციის (იააფ) „გრან პრი 2“-ის პროგრამაში ბოლო ღონისძიება გახლდათ. რჩება 9 სექტემბერი და მელბურნი, სადაც ყველა ჩამოთვლილ ამბავს „იააფ-ის გრან პრის“ ფინალი დაავიკრავინებს და მერე კიდევ იქნება პატარ-პატარა ტურნირები, მაგრამ ელიტის მეტი წილი, ალბათ, შეგებულბაში გავა.

სხვათა შორის, არც რიეტში ცვიოდნენ ვარსკვლავები. ზოგმა კეთილი ნების თამაშები ამჯობინა, ზოგმაც — დასვენება, ამიტომ ძალიან აღსანიშნავი სახელი მხოლოდ ორი იყო — ჰიშამ ელ გურუჯი და ფორნა მუი. ორივემ ედმონტონის მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო, ისევე როგორც კვირას რიეტის „გრან პრი 2“.

ელ გურუჯის გეგმები შეუცვლია. იგულისხმება ანაცვლება 1500-დან 5000-მეტრიან დისტანციასზე, რასაც არაბი მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ აპირებდა, ახლა კი ვისალო, იმანის ლაციოში ელ გურუჯი ჩვეულებრივი ადამიანითა და „კურდღლის“ დანხარებით გარბოდა, პატარა მეტოქეობაც ვერავინ გაუწია, ხოლო ფორნა მუი საცილავ 6 მეტრსა და 56 სანტიმეტრზე გადასტა და რადგან მეტოქეები დაბალი ღონისანი იყვნენ, მარცხ გამარჯვება. 1994 წლიდან იტალიის მოქალაქე დაბადებით ბრიტანელი და ამთროპოლოგიურად შავი ფორნა ედმონტონში ჩემპიონი ბევრად მაღალი შედეგით გახდა.

ძალიან სიმპათიური დრო გამოსახა აპარატურამ როგორც ვაჟთა, ასევე ქალთა 100-მეტრიანი სპრინტისას, მაგრამ ამ დროს არც 2-მეტრწამიანი ზურგქარის დამსახურებაც უნდა დავკარგოთ. სპრინტერებში სულ უმაღლესი ელიტიდან თითქმის არავინ ერია, რომელსაც მეტონაკლებად განელ აბდულ აზიზ ზაკარისა და კამერუნელ მირიამ ლეონი მანის თუ მივაკუთვნებთ. ზაკარიმ დაინარჩუნა თავისი 100 მეტრი და დროსაც (10,04) არა უშავდა. ამერიკელთა არყოფნისას ამ საბატო დისტანციის პოლიუმში სულ აფრიკამ შეავსო: მეორე-მესამე ადგილებზე ნამიბიელი და ნიგერიელი გავიდნენ. მირიამ ლეონი მანის კი 100 მეტრი უცნობმა ნიგერიელმა ენდურანს ოვოკოლომ მოუგო. დაბოლოებული კამერუნელი შემდეგ 200 მეტრსაც ეწვია და იქ კი პირველი იყო, ოლინპ ბევრჯერ თქმულა, პრესტიჟით სად 100 მეტრი და სად — 200.

გორანის მარკა

წლებულს უიმბლდონის მომგებარ ატონას ავანტიურებში დაიხატა რომ ხორვატიის ეროვნული გმირია. მარდა, რა გასაკვირია, რომ ხორვატიის სფეროსტო სამხატვროთა შინა წარმატების უკვდავსაყოფი მარკების სერია გამოუშვა.



REUTERS ლონდონიდან

არაფერი ატყობათ

წოდებ პპირას „აესპიენის“ სტუდიაში ატყობილი ჩხუბი კრივიში მძიმე წონის ჩემპიონ ჰასიმ რაჰმანსა და მასთან რეპარტის მომლოდინე ლენოქს ლუისს შორის, სულ უფრო და უფრო ჰგავს მოგონილს. ახლა წყვილი ლონდონშია და ბრძოლის პრომოუტორ დონ კინგთან ერთად მართავს პრესკონფერენციას. რეპარტი 17 ნოემბერს გაიმართება ლას ვეგასში, ამით კი ერთმანეთზე წაწვევისა და ამასწინანდელი ჩხუბისა არაფერი ეტყობათ. რაჰმანს კი საერთოდაც შეუფერ მოგახშულა.




REUTERS პრინსტონიდან

რა თქმა უნდა, ოზეპი

ბრისბანში ვრძელდება კეთილი ნების თამაშები. რაღა თქმა უნდა, სადაც საცურათა, მასპინძელი ავსტრალიელები ბევრს არაფის უთმობენ თქრის მედლებს. ოზ ქალ მოცურავეთა ნაკრებს, რომელშიაც დღევანდლობის უდიდესი მოცურავენი სიუზან ონილი (მარჯვნივ) და პეტრია ტომასი (მარცხნივ) გამოდიან, გუნდურ შეჯიბრში ამერიკელებისთვის უჯობნია და კეთილი ნების თამაშების გუნდური ჩემპიონიც შექნილა.




ორი სიზიზღვა



REUTERS ბლა ზგოდან

მიუნხენში ბექემს ტრუსი შემთხვევით და მოედანზევე გამოიცივალა, თუმცა, ეს ამბავი მონაგონია იმასთან, ვლავოს „პემბდენ პარკზე“ რომ მოხდა შოტლანდია — ხორვატიის მატჩის დროს. ხორვატი სტეფან ტომასი და სქოთი დევიდ გეირი სიცილით დაიხტენენ, როცა მინდორზე მავანი შემთვრალი ჯგეფი ჩამოხტათ. ჯგეფი შიშველიც გამოდგა. თურმე სქოთური კაბა ეცვა და გზადგება შემთინია, სარცხვენალზე კი ამ კაბის მთავარი სამკაული, ქისა შერჩა.



REUTERS მიუნხენიდან

სარბიელი
საორტული გაზეთი
გამოცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის საგზაბათს,
ოთხგზაბათს, ხუთგზაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ შონცხვერია
დირექტორი გიორგი ოძროშაძე
რედაქტორი თამაზ შიბრიაული
ტექნიკური რედაქტორი მასტანაზ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქტორი რედაქტორი სოსო კობორაძე
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქტორი რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულიანაშვილი, ვიორჯი დარჯანია, ვიორჯი ვაშაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და

ინფორმაციის რედაქტორი ვია ახალაძე, ვიორჯი ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში თუზა კაციაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოღენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილი-სტეტი მია აბინაძე, ნათელა გიორგობანი, ლალი გოზალი-შვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გულუა-შვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა ვოლოსოვილი, მამუკა გუბუ-ლაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრის-ტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენ-გის ფოფხაძე, ნინო ყუყუნია
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზაბაგის ბაგშირი 42, II
პირაუნი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი - 79, საფოსტო
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarblieli@goi.ge
ელექტრონული ვერსია
<http://www.sarblieli.com.ge>